საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 4 დეკემბერი, 2015 წელი.

№228 (7873)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

უფასო სასადილოები, უფასო კუბოები... 4 და ფასიანი ტყუილი

სხვის უბედურებაზე საკუთარი კეთილდღეობის აგება არ ეგების! 3

„ნაციონალთა გულის გასახარად...“

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი ბიძინა ივანიშვილი იქნება?!.

როგორ შეიძლება არ ენდო პარლამენტის ვიცე-სპიკერს, როცა ის ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ განცხადებას აკეთებს?! ჰოდა, ზვიად ძიძიგურმაც გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ბრუნდება!

რადგან 2016 წლის არჩევნებამდე მხოლოდ 10 თვეღა დარჩა, „ქართულმა ოცნებამაც“ სერიოზული სამზადისი დაიწყო. კოალიციამ, რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გააკეთოს დაკარგული რეიტინგის აღსადგენად, რომელიც ძირითადად გლობალური მიზეზებით, და არა უნიათობით, უსუსურობით თუ გაზრდილი პრემია-დანამატების გაცემით დაკარგა. სხვათა შორის, რეიტინგის დაქვეითების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კარგად გაკეთებული საქმეების ცუდად წარმოჩენა, ანუ პიარის უქონლობა გახლავთ.

მაშ ასე, როგორც ჩანს, არსებული მთავრობის მუშაობით არც მთლად კმაყოფილი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც ლომის წილი აქვს ნაციონალთა ანტიქართული ხელისუფლების მშვიდობიანად გასტუმრებაში, მის სხვა დამსახურებებზე რომ არაფერი ვთქვათ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოგებისთვისაც იბრძოლებს. ზვიად ძიძიგურის თქმით, ყოფილი პრემიერი კოალიციის სათავეში ისევე იმ კონფიგურაციით დაბრუნდება, როგორც 2012 წლის არჩევნების დროს იყო. **„ბიძინა ივანიშვილის ჩართულობა მომავალ არჩევნებში იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი. ჩვენ იმედი გვაქვს, და ბატონმა ბიძინამაც განაცხადა, რომ ის 2016 წლის არჩევნებში იქნება ერთმნიშვნელოვნად მობილიზებული და აქტიური. ჩვენს კოალიციაში ლიდერის ადგილი, ეს არის ბიძინა ივანიშვილის ადგილი!** – დაასკვნა ძიძიგურმა.

ვნახოთ, როგორი განწყობით შეხვდება საზოგადოება ამ სიახლეს, რადგან ყოფილმა პრემიერმა თანამდებობიდან წასვლის შემდეგ „დაიქადნა“, რომ მხოლოდ განსაკუთრებით კრიზისულ ვითარებაში დაბრუნდებოდა პოლიტიკაში. ალბათ, ჩვენი საზოგადოების ერთსულოვანი აზრია, რომ ბიძინა ივანიშვილის გააქტიურება ქართულ პოლიტიკას უდავოდ გამოაცოცხლებს.

2016 წლის ოქტომბერიც მალე მოვა!

თეა მოსია

როგორ შეიძლება...

6

როგორ შეიძლება პრეზიდენტად გვყავდეს ადამიანი, რომელიც საკუთარ ერს „ავადმყოფს“, „ინფანტილურს“, „ლაბილური ფსიქიკის მქონეს“, „ჩლუნგს“, „გონებრივად ჩამორჩენილს“, „გონებასუსტს“, „სულელს“ და „დებილს“ უწოდებს.

როგორ შეიძლება ქმარი პარლამენტის თავმჯდომარე იყოს და ცოლი – თავდაცვის მინისტრი!

როგორ შეიძლება პროკურატურას ამდენი სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი სამხილი ჰქონდეს აუდიოჩანაწერების სახით, თანაც, მოსაუბრეების მიერ აღიარებული, ავთენტურად ცნობილი, და არც ერთ მათგანს, არც ერთს(!) არ აპატიმრებდეს!

როგორ შეიძლება მილიონობით სხვისი ქონების ყაჩაღურად მიმტაცებლებს, მწამებლებს, მკვლელებს და ყველაფერი ამ უმსგავსობის იურიდიულად „გამპრავებელ“ მოსამართლეებს, რომლებსაც ციხეში უდანაშაულოდ ჩაყრილი ათასობით ადამიანის ცოდვა აწევთ კისერზე, პასუხს არ სთხოვდეს ხელისუფლება, არ ასამართლებდეს!

სააკაშვილის გუნდი უკრაინის ოპოზიციაში წასვლით იმუქრება 2

მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაცია აიკრძალება 9

ადეიშვილს პატიმრობა შეეფარდა

პროკურატურა განცხადებას ავრცელებს.

„თელავში მდებარე აკურას ღვინის ქარხნის იძულებით ჩამორთმევის საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა ბრალდებულების პირველი წარდგენის სხდომა. მოსამართლე გიორგი არევაძემ სრულად დააკმაყოფილა საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობა და საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს დაუსწრებლად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა, ხოლო ამავე საქმეში წარმოდგენილი მეორე ბრალდებულის სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილის მიმართ წინასასამართლო სხდომა 2016 წლის 12 იანვარს ჩანიშნა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ზურაბ ადეიშვილს და ივანე მერაბიშვილს ბრალი წარედგინათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, 2004 წელს ჩადენილი სისტემური დანაშაულისთვის, მიმართული მოქალაქეებისათვის ქონების იძულებით ჩამოსართმევად, რომელშიც ერთობლივად და წინასწარ შეთანხმებული სქემით მონაწილეობდა იმჟამინდელი სამართალდამცავი ორგანოები და ეროვნული ბანკი, რის შედეგადაც დაზარალებულებს თეიმურაზ მეგრელიშვილს და ნოდარ მოდებაძეს იძულებით ჩამოართვეს თელავში მდებარე აკურას ღვინის ქარხანა.

საქმეზე გამოძიებას საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი აწარმოებს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ შანტაჟი

სააკაშვილის გუნდი უკრაინის ოპოზიციაში წასვლით იმუქრება

„რეფორმატორები“ გუნდს საქართველოდან ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობს, რომელმაც ხელისულების ყველა სტრუქტურა უკვე დაიქვემდებარა. მაგალითად, ოდესის მილიციას სათავეში საქართველოს შს მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე უდგას. პროკურატურას ფორმალურად დავით საყვარელიძე ხელმძღვანელობს, თუმცა დე ფაქტოდ, მას მურთაზ ზოდელავა განაგებს, რომელიც საქართველოს გენერალური პროკურორი გახლდათ.

30 ნოემბერს დეპუტატმა დიმიტრი გოლუბევმა – („ბლოკი პეტრე პოროშენკო“) – მიხეილ სააკაშვილი გამომძალველობაში დაადანაშაულა.

„სააკაშვილმა ოდესაში დაიწყო რეკეტი. მსხვილი საწარმოები და ბიზნესმენები იღებენ წერილებს მისი მრჩევლისგან, თხოვნით, მაგალითად, მოძებნონ საშუალება და გაუწიონ საქველმოქმედო დახმარება 2, 5 მილიონი გრივნის ოდენობით“, – განაცხადა დეპუტატმა ტელეკომპანია „112 უკრაინა“-ს ეთერში.

ბიზნესმენებს არ შეუძლიათ ამ თხოვნის იგნორირება – მათზე მაშინვე ხდება პროკურატურისა და მილიციის მხრიდან ზეწოლა, ეს კი არის ლორთქიფანიძისა და ზოდელავას ხალხი.

თითქოსდა სრულიად უცხო ქართველი ჩინოვნიკების დანიშვნას სხვადასხვა თანამდებობაზე აქვს სერიოზული პოლიტიკური მიზეზები. თუ არ ჩავთვლით იაცენიუკს, ქვეყანაში არის მხოლოდ ორი ძალა, რომელსაც რეალური წარმომადგენლობა ჰყავს ხელისუფლებაში – ეს არის პრეზიდენტის პარტია და სააკაშვილის გუნდი.

საინტერესოა, როგორ მოახერხა სააკაშვილმა ევაჭრა თავისთვის ვერტიკალზე ამდენი ადგილი, იმის გათვალისწინებით, რომ მას არ ჰქონდა არავითარი დასაყრდენი. ამ კითხვაზე პასუხი, შეიძლება სწორედ ზემოთ ნახსენებ მურთაზ ზოდელავასა და გიორგი ვაშაძეს შორის შემდგარ საუბარში ვეძებოთ. გიორგი ვაშაძეს, რომელიც ჯერ ისევ ქართველი დეპუტატია, სერიოზულად განიხილავდნენ უკრაინის იუსტიციის მინისტრის პოსტზე, თუმცა მაშინ სააკაშვილმა საკუთარი გუნდისთვის ერთდროულად ორი პოსტის მოპოვება ვერ შეძლო და პოროშენკომ მხოლოდ საყვარელიძე დანიშნა.

ვაშაძესთან საუბარში ზოდელავა ირწმუნება, რომ სააკაშვილი გეგმავს, დაანტაჟოს პოროშენკო მისი ოპოზიციაში წასვლით.

◎ ფინანსები

მომავალი წლის ბიუჯეტის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება

ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდა, ხადური შესრულების პირობას დებს

მომავალი წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი პარლამენტში უკვე შესულია. მთავრობა მიღებული გადაწყვეტილებით თავს იწონებს, ოპოზიცია კრიტიკას აგრძელებს, უმრავლესობა კი ამჯერად მთავრობას ეთანხმება.

„2016 წლის ბიუჯეტმა ეკონომიკის განვითარების შედეგად 10 მილიარდს გადააჭარბა. მომავალ წელს 8 მილიარდი ლარის გადასახადი იქნება მობილიზებული. ეს მიმდინარე წელზე ნახევარი მილიარდით მეტია და წინასწარ პროგნოზს 200 მილიონით აღემატება. ჩვენ შევეცადეთ, ბიუჯეტი მაქსიმალურად რეალისტური ყოფილიყო. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის შესრულებას არავითარი საფრთხე არ ემუქრება“, – აცხადებს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური.

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა 330 მილიონი ლარით – 8,555 მილიარ ლარამდე მოიმატა. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 200 მილიონი ლარით გაიზარდა და 7,980 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 23,3%-ს შეადგენს.

ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება არის ის, რომ გაისად პენსია 20 ლარით იზრდება. ამისთვის საპენსიო ფონდს 90 მილიონი ლარი დაემატა.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე აღნიშნავს, რომ პენსია გაიზარდა იმ მოცულობით, რისი შესაძლებლობაც აღნიშნულ ბიუჯეტს გააჩნდა და ეს გადაწყვეტილება პიარად არ უნდა ჩაითვალოს.

პარალელურად, მთავრობამ სოფლის მეურნეობის ბიუჯეტიც 40 მილიონი ლარით გაზარდა და უფასო ხვნა-თესვის პროგრამა 2016 წლის ბოლომდე გააგრძელა. 100 მილიონ ლარამდე გაიზარდა ჯანდაცვის ხარჯიც, რაც განპირობებულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯის მატებით. წლევანდელი 470 მილიონი ლარის ნაცვლად, გაისად სახელმწიფო დაზღვევას 570 მლნ ლარი მოხმარდება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი მომავალ წელს იგივე და რჩება – 950,0 მლნ ლარი, აქედან ყველაზე დიდი თანხა - 526.6 მილიონი ლარი საგზაო ინფრასტრუქტურისთვისაა გამიზნული.

„როდესაც ჩვენ 2016 წლის ბიუჯეტზე ვმუშაობდით, ვითვალისწინებდით იმ რეალობას, რომელიც მიმდინარე წლის განმავლობაშია საქართველოს ეკონომიკაში. ამავე დროს, ვითვალისწინებდით იმ რეალობას, რომელიც არის საქართველოს მთავარ ეკონომიკურ პარტნიორებთან, მათ შორის, მეზობელ ქვეყნებში. პროგნოზი საკმაოდ კონსერვატიულია. ჩვენ შევეცადეთ, რომ ბიუჯეტი მაქსიმალურად რეალური ყოფილიყო. გაისად ბიუჯეტის შესრულებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ყველა ხარჯი შესრულებული იქნება. საქართველოს მოსახლეობა, შესაბამისი კატეგორია მიიღებს ყველა იმ დანაპირებს, რომელიც მათ საქართველოს მთავრობამ მისცა.

ვიდრე შესაბამისი რესურსი არ გამოვძებნეთ, განცხადებები არ გაგვიკეთებია. როცა რესურსი გაჩნდა, გადაწყვეტილება მივიღეთ – პენსიები 180 ლარამდე გაიზრდება, მასწავლებელთა საშუალო ხელფასი 600-700 ლარს მიაღწევს და ყველა სოციალური და არა მხოლოდ სოციალური ხარჯი შესრულდება. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეკონომიკური ზრდა 2% იქნებოდა, მაგრამ 10 თვის საშუალო მაჩვენებელი უკვე 2,8 %-ია. მომავალ წელს, ვფიქრობთ, რომ 3%-იანი ზრდა გვექნება“, – აცხადებს ფინანსთა მინისტრი.

პარლამენტმა ბიუჯეტი 28 დეკემბრამდე უნდა დაამტკიცოს. საპარლამენტო ოპოზიციამ უკვე გამოაცხადა, რომ ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერს.

ბექა დანელია

იქნება თუ არა სააკაშვილი საქართველოს მოქალაქე, მარგველაშვილზეა დამოკიდებული

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, **უწყებამ ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის რეკომენდაციით პრეზიდენტს მიმართა.**

„საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან გადავაგზავნეთ იუსტიციის სამინისტროდან დასკვნა, რომელშიც შემოთავაზებულია, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, აწ უკვე უკრაინის მოქალაქეს მიხეილ სააკაშვილს შეუწყდეს საქართველოს მოქალაქეობა. საბოლოო გადაწყვეტილება ხელმოწერით უნდა დაადასტუროს საქართველოს პრეზიდენტმა, თუკი ის ჩვენ მიერ მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ დასკვნას დაეთანხმება. ჩვენ გვქონდა ოდესის გუბერნატორისთვის მიცემული დაახლოებით ერთ თვე, როგორც ამას ითვალისწინებს პროცედურა ნებისმიერი სხვა მოქალაქის შემთხვევაში, რომ მას გამოეხატა თავისი პოზიცია. მას წერილი ჩაბარდა 3 ნოემბერს, მას პასუხი არ გაუცია, ამიტომაც პროცედურა დაიძრა და დასკვნა ხელმოსაწერად უკვე გახლავთ საქართველოს პრეზიდენტთან“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

შეგახსენებთ, გასულ დღეებში პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ მზადყოფნა გამოთქვა.

* * *

პრეზიდენტის **საპარლამენტო მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადებში – უახლოეს დღეებში მიიღებს.**

მისი განმარტებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ყოველთვიურად შედის არაერთი დასკვნა მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით დასკვნა კი გუშინ შევიდა.

„მოქალაქეობის საკითხის განხილვისთვის წარმოების ვადა არის სამთვიანი, თუმცა მასში შედის ასევე იუსტიციის სამინისტროში დაწყებული წარმოება. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, უახლოეს დღეებში იქნება გადაწყვეტილება მიღებული მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე“, – განაცხადა გიორგი კვერენჩხილაძემ.

როგორც მან განმარტა, დაუშვებელია საქართველოს მოქალაქე იმავდროულად იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე. მისივე თქმით, საქართველოს მოქალაქის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღება არის მისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის უპირობო საფუძველი.

გიორგი ბადაშვილი ახალ ამპლუაში

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს დღეიდან გიორგი ბადაშვილი უხელმძღვანელებს. ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ახალი უფროსი საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს წარუდგინა.

გიორგი ბადაშვილმა სამართალდამცავი უწყების თანამშრომლებს მომავალი საქმიანობის საკუთარი ხედვა გააცნო და ყურადღება გაამახვილა მუშაობის მთავარ პრინციპებზე.

ფინანსთა უწყების ინფორმაციით, იგი 2006-2013 წლებში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 2013 წლის მაისიდან ნოემბრამდე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს უფროსის მოადგილე, ხოლო 2014-2015 წლებში საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობას იკავებდა.

ვოლსკი ნდობის ჯგუფში საგანელიძეს შეცვლის

პარლამენტის **ნდობის ჯგუფში უმრავლესობის კვოტით ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი შევა. ის ნდობის ჯგუფში დავით საგანელიძეს შეცვლის.** როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა განაცხადა, უმრავლესობამ გია ვოლსკის კანდიდატურას მხარი დაუჭირა და სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ ვოლსკი ნდობის ჯგუფის წევრი გახდება.

ბატონო ელჩო, ეს ინფორმაციის მიღება კი არა, ჭკუის დარიგებაა...

აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი აცხადებს, რომ ხელს შეუწყობს მომდევნო არჩევნების მაქსიმალურად სამართლიანად ჩატარებას. არასაპარლამენტო ოპოზიციასთან გუშინდელი შეხვედრის მიზეზად, ელჩმა ქართულ საარჩევნო სისტემაში გარკვევის სურვილიც დაასახელა.

„შეხვედრას ორი მიზეზი აქვს – პირველი მიზეზია ის, რომ მინდა შევხვდე განსხვავებული პოლიტიკური სპექტრის აქტორებს, რომლებიც საქმიანობენ ქართულ პოლიტიკაში. პარლამენტის წევრებთან მქონდა შეხვედრები და ჩავთვალე, რომ მნიშვნელოვანია შევხვდე არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებსაც.მეორე მიზეზია ის, რომ მსურს ინფორმაციის მიღება, რადგან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კვლავ შესწავლის რეჟიმში ვარ.. თქვენი საარჩევნო სისტემა ძალიან განსხვავდება ჩვენი სისტემისგან. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლავთ უზრუნველყოფა, რომ მომდევნო არჩევნები იყოს მაქსიმალურად თავისუფალი და სამართლიანი. ჩვენ ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ საქართველოს, რომ მან ჯანმრთელი და დინამიური დემოკრატიული საზოგადოება განამტკიცოს და მოახდინოს დასავლურ საზოგადოებაში ინეგრაცია“, – განაცხადა იან კელიმ.

ინტერპარტიული ჯგუფის წევრები შეერთებული შტატების ელჩს შეხვდნენ. არასაპარლამენტო ოპოზიციამ დიპლომატს ყველა ის პრეტენზია გააცნო, რომელიც საარჩევნო სისტემას და საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს ეხება.

◎ „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“

„ლევილის მამული საქართველოს უნდა გადმოეცეს, თორემ იმდენად დიდი ბეგარა დაეწერება, რომ დაიკარგება საქართველოსთვის“

პარიზთან ახლოს, ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ბოლო ეტაპზეა. ამის შესახებ ჟურნალისტებს პარიზში მყოფმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა.

პრემიერის თქმით, რამდენიმე თვის წინათ მთავრობამ დამატებითი თანხები გამოყო ტექნიკური დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით, რაც წლების განმავლობაში ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოაგვარა. დღესდღეობით კი პრემიერს იმედი აქვს, რომ ჩვენი ემიგრანტი წინაპრების შთამომავლები ამ პროცესს დაასრულებენ და ლევილის მამული გადმოეცემა ქართველ ხალხს, ჩვენს სახელმწიფოს.

პრემიერი ფიქრობს, რომ ეს მამული ქართველი ახალგაზრდებისთვის უნდა იყოს განკუთვნილი და ლევილი უნდა გახდეს ქართული კულტურის ცენტრი საფრანგეთის შუაში.

ლევილის მამული ჯერ კიდევ 1928 წლის 30 აპრილიდან ქართველი ხალხის საკუთრებად არის გაფორმებული. სხვათა შორის, როგორც ფრანგები ამბობენ, ლევილის ქართველთა კერას საფრანგეთისთვისაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს და თავის დროზე აქ ცნობილი ფრანგული ოჯახები ცხოვრობდნენ. მათ შორის, ფრანგებისთვის კარგად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე — დე ლასეპედი რევოლუციის პერიოდში სწორედ ლევილის სახლს აფარებდა თავს.

წლების წინათ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების შემდეგ, ქართველი საზოგადოებრივი აზრი ორ ნაწილად გაიყო. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ სხვა ემიგრანტი ქართველების ნეშტებიც უნდა გადმოესვენებინათ ლევილიდან, რადგან მათი სურვილი საქართველოში დაკრძალვა იყო. ამისთვის მეტად შთამბეჭდავად ჟღერდა ლევილის ქართულ მამულში საძმო სასაფლაოზე განსვენებული პოეტის კოკი დადიანის უნიკალური ეპიტაფია — „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე!“

ამ ფრაზის მიუხედავად, ჩვენი საზოგადოების ნაწილი ფიქრობდა, რომ ლევილის ქართველთა განსასვენებელი არ უნდა დაცარიელებულიყო.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართველ ემიგრანტთა ცხოვრების მკვლევარი რუსუდან დაუშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ლევილის მამული დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის ფულით არის ნაყიდი. როდესაც ჩვენი მთავრობა ემიგრაციაში წავიდა, სამუზეუმო განძთან ერთად (რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი პატრონობდა), მათ წაიღეს მთავრობის ქონებაც — სუფრის გასაწყობი ვერცხლეული, ოქროს ზოდები. შემდგომში ეს ნივთები გადაადნეს და გაყიდეს, ნაწილი მოახმარეს სამუზეუმო განძის შენახვას ჯერ მარსელის ბანკში, შემდეგ პარიზის ბანკში, ხოლო დარჩენილი ფულით ლევილის მამული იყიდეს.

„ლევილის მამული თავიდანვე საქართველოს ეკუთვნოდა და იმთავითვე განსაზღვრული იყო, რომ ეს უნდა ყოფილიყო საფრანგეთში ჩასული ქართველი სტუდენტების თუ სამუშაოდ მივლენილი ადამიანების თავშესაფარი. პირველი ანდერძის თანახმად, სწორედ ასე სურდათ ჩვენს ემიგრანტებს. მე ვიცი, რომ რაღაც პრობლემებია ამ მამულთან დაკავშირებით თავად ემიგრანტებს შორის, რომელთაც სურთ, მათ სახელზე გადაფორმდეს ლევილი. ისინი არიან პირველი მთავრობის წარმომადგენლების მემკვიდრეები. თუმცა აუცილებელია, ლევილი საქართველოს სახელზე ირიცხებოდეს, ეს შატო (ციხე-სიმაგრე, როგორც ფრანგები ეძახიან ლევილის მამულში მდგარ სამსართულიან შენობას, სადაც ნოე ჟორდანია და სხვები ცხოვრობდნენ) ნამდვილად უნდა დარჩეს საქართველოს საკუთრებაში, თავის სასაფლაოსთან ერთად, რადგან ნებისმიერი კერძო მფლობელის შემთხვევაში, ლევილის მამულს იმდენად დიდი ბეგარა დაეწერება, რომ ვერავინ გადაიხდის და იგი დაიკარგება საქართველოსთვის. ბატონი გურამ შარაძე იმის წინააღმდეგ იბრძოდა, რომ მავანთა მიერ არ მომხდარიყო ლევილის მამულის პრივატიზაცია. თორემ საქართველოდანაც იყო ასეთი მცდელობები“, — აღნიშნა რუსუდან დაუშვილმა.

ამასთან, ლევილის საძმო სასაფლაოდან ქართველი ემიგრანტების გადმოსვენების ფაქტსაც შეეხო და განმარტა, რომ საქართველოში ჩამოსვენებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის გარდა, ნებისმიერი ემიგრანტი ოცნებობდა, თუნდაც მისი ძვლები დაბრუნებოდა მშობლიურ საქართველოს. თუმცა არ შეიძლება, ყველა გადმოვასვენოთ და ლევილის სასაფლაო ცარიელი დავტოვოთ. მით უმეტეს, არსებობს ინგლისური გამოთქმა, სადაც ერთი ინგლისელი მაინც არის დასაფლავებული, იქ პატარა ინგლისიაო. ამდენად, ჩვენც არ გვაქვს უფლება, ასეთი დიდი ტრადიციის მამულს შევეხოთ. არადა, რაოდენ სავალალოც არ უნდა იყოს, ახლა ლევილის მამულში სხვა ეროვნების ხალხი დაასაფლავეს.

„სახალხო ფრონტის“ ლიდერი ნოდარ ნათაძე მიესალმება, თუკი ლევილის მამულზე ქართველთა უფლებები უფრო მეტად გავრცელდება. მისი თქმით, თავის დროზე ემიგრაციას ძლიერ უჭირდა, ისინი მშივრები იყვნენ და ძლივს შეაგროვეს ფული ლევილის შესაძენად.

„წლების წინ აქტუალური იყო ლევილის სასაფლაოდან ქართველთა ნეშტების გადმოსვენების საკითხი. ამაზე მსჯელობას თავისი მორალური ასპექტი გააჩნია. თუკი დაფიქსირებულია ანდერძში, რომ ჩვენი წინაპრები საქართველოში დაკრძალვას ითხოვდნენ, მაშინ ცალსახად უნდა გადმოასვენონ. მაგრამ არც მე და, მე მგონი, არც არავის სავსებით გარკვეული არ აქვს, შესაძლებელია კი მიცვალებულის ნეშტის შეწუხება?! საფრანგეთი სამართლებრივი სახელმწიფოა. თუკი საფრანგეთში საკუთრების უფლება ერთხელ მოიპოვე, თუ იქ დაარსდა ქართული ცენტრი და მისი გაუქმების არანაირი წონადი მოსაზრება არ არსებობს, მაშინ ის ცენტრი იარსებებს და მას ხელს ვერავინ ახლებს“, — აცხადებს ნოდარ ნათაძე For.ge-სთან საუბარში.

მანანა ნოზაძე

◎ ვინ — ვის?

რა ხეირი, რის ხეირი!..

სხვის უბედურებაზე საკუთარი კეთილდღეობის აგება არ ეგების!

რუსეთ-თურქეთს შორის ეკონომიკური ომი დაიწყო. ჩვენს სამხრეთელ მეზობელს მოსკოვისგან ემბარგო არ ასცდება. რუსეთში თურქული პროდუქცია ვეღარ შევა. რა სარგებელს მიიღებს საქართველო ამ ყველაფრიდან. კრემლში პირდაპირ ამბობენ, რომ თურქულ პროდუქტს სომხური, ქართული და ირანული ჩაანაცვლებს.

რუსულმა „როსსელხოზნადზორმა“ კბილები უმალ გამოაჩინა და თურქულ ხორცპროდუქტებზე შეზღუდვა უკვე დააწესა. აკრძალვა შეეხება უმსხვილესი თურქული კომპანიის მიერ წარმოებულ ქათმის ხორცს, სადაც, რუსული უწყების მტკიცებით, ლისტერიის ბაქტერია აღმოჩნდა. შეზღუდვა 2015 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედდა.

ეს გადაწყვეტილება ჯაჭვურად გაგრძელდება და მოსკოვი სხვა თურქულ საქონელზეც დააწესებს სანქციებს. როგორც გამოცემა „იზვესტია“ იტყობინება, ემბარგო შეეხება ბოსტნეულს, ხილს, ნიგოზს, ხორცს და ზღვის პროდუქტს, რძესა და რძის ნაწარმს, მათ შორის, ყველსა და ხაჭოს. ამ საქონლის ჩანაცვლებას რუსეთი აპირებს ადგილობრივი წარმოების გაფართოების ხარჯზე და საქართველოდან, სომხეთიდან და ირანიდან პროდუქციის იმპორტის გაზრდით.

„როსსელხოზნადზორის“ წარმომადგენელი ალექსეი ალექსეენკო ამბობს, რომ რუს მომხმარებელს ბოსტნეულისა და ხილის ნაკლებობის პრობლემა ნამდვილად არ ექნება.

— რუსეთს არ აქვს იმდენად ძლიერი დამოკიდებულება მსგავს პროდუქციაზე, ვინაიდან თავად ქვეყანამ გაზარდა მისი წარმოება ჩრდილოეთ კავკასიაში, სტავროპოლში, როსტოვისა და ვოლგოგრადის ოლქებში. გარდა ამისა, ამ სიახლემ უდავოდ გაახარა ჩვენი მეზობლები: ამიერკავკასიის ქვეყნები — სომხეთი, აზერბაიჯანი. ძალზე პოზიტიურად შეხვდა ამას საქართველო და ირანიც მზადაა, მართლაც მაღალი ხარისხის პროდუქცია გაგზავნოს რუსულ ბაზარზე, — განაცხადა ალექსეენკომ.

მისი თქმით, სომხეთი მზადაა, დაუყოვნებლივ დაიკავოს ეს ნიშა და გაზარდოს ხილისა და ბოსტნეულის წარმოება უშუალოდ რუსულ ბაზარზე გათვლით.

თურქეთში რუსული სანქციების შესაძლო ზარალი 20 მილიარდ დოლარად შეაფასეს, ეს კი მშპ-ს 3%-ის ტოლი იქნება.

— თურქეთის მიერ რუსეთში განხორციელებული ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა 6 მილიარდი დოლარი შეადგინა, ტურიზმის სფეროში კი - 7 მილიარდი. ორ ქვეყანას შორის კარგადაა განვითარებული ტანსაცმლით ვაჭრობა. თუ რუსეთთან ურთიერთობის კრიზისი გამწვავდა, თურქეთის დანაკარგმა, შესაძლოა, წელიწადში 20 მილიარდ დოლარს მიაღწიოს, რაც მშპ-ს 3%-ია, — განაცხადა თურქეთის პარლამენტის დეპუტატმა ჩეთინ ოსმან ბუდაკმა.

მხოლოდ ანტალიის პროვინცია დაკარგავს 6 მილიარდ დოლარს ტურისტულ სექტორში და 500 მილიონს სოფლის მეურნეობაში. ნოვოროსიისკის პორტში ამ ეტაპზე 750 კონტეინერია, რომელიც ანტალიაში მოწეული ხილითა და ბოსტნეულითაა დატვირთული. ტვირთი რუსეთის ტერიტორიაზე ვერ ხვდება.

ქალაქის ყოფილი მერის მუსტაფა აქაიდინის განცხადებით, ხელისუფლებას შეუძლია არარეალიზებული ხილი და ბოსტნეული ღარიბებს დაურიგოს. რეგიონის სოფლის მეურნეობის მწარმოებლები მზად არიან რუსეთში ექსპორტი მესამე ქვეყნის გავლით განახორციელონ და გასაღების ახალი ბაზრები ეძებონ.

30 ნოემბერს რუსეთის ვიცე-პრემიერმა იგორ შუვალოვმა განაცხადა, რომ რუსეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს ხილი და ბოსტნეული დაექვემდებარება.

მაინც რა მოუტანს საქართველოს რუსეთის მიერ თურქეთისთვის ემბარგოს დაწესება, რომელიც მხოლოდ დროის საკითხია და როგორც კრემლიდან იტყობინებიან, რამდენიმე კვირაში ამოქმედდება. ქართველი პოლიტიკოსები პროგნოზის გაკეთებისგან თავს იკავებენ და დიდ სიფრთხილეს იჩენენ.

ეკონომიკის მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის თქმით, „საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მეზობლებს შორის ურთიერთობა არ იყოს დაძაბული“.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია კი აცხადებს, რუსეთში საქართველოდან პროდუქციის ექსპორტის გაზრდის მიზნით, მოლაპარაკება არ მიმდინარეობს. რუსეთ-თურქეთს შორის გაჩენილი დაძაბულობით არც ერთი ქვეყანა არ არის მოხარული.

— არ მგონია, რომ ამას ვინმემ ხელი შეუწყოს ან უხაროდეს აღნიშნული დაძაბულობა ამ ქვეყნებს შორის. ეს არის ორი ძლიერი ქვეყანა რეგიონში და მნიშვნელოვანია, რომ მათ შორის იყოს კარგი ურთიერთობა. ვფიქრობთ, საერთაშორისო თანამეგობრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ დროზე მოხდეს ამ კონფლიქტის დარეგულირება. რაც შეეხება საქართველოს, არც ერთი ქვეყნის კეთილდღეობა არ უნდა იყოს აგებული რომელიღაც ქვეყნის გამოწვევებზე. ჩვენ არ გვქონია დამატებით კონსულტაცია რომელიმე ქვეყანასთან გამომდინარე იმ მოვლენებიდან, რაც ხდება რუსეთსა და თურქეთს შორის, — განაცხადა დანელიამ.

თურქეთმა ყველაზე დიდი დარტყმა, შესაძლოა, სავალუტო მიმართულებით მიიღოს. ანალიტიკოსები 2016 წელს თურქული ვალუტის რეკორდულ ვარდნას პროგნოზირებენ. როგორც სააგენტო „ბლუმბერგი“ იუწყება, მომავალი წლის პირველ კვარტალში ლირას კურსი დოლართან მიმართებაში რეკორდულ, 3,1 პუნქტამდე დაეშვება.

ფრანგული ბანკის „სოსიეტე ჟენერალის“ ანალიტიკოსის როქსანა ხულეას აზრით, თურქეთსა და რუსეთს შორის არსებულმა სიტუაციამ, შესაძლოა, ნეგატიური ეკონომიკური შედეგები გამოიღოს სანქციების გამო, რომლებიც მის წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესმა საავაჭრო პარტნიორმა შემოიღო.

სექტემბერში, ლირა დოლართან მიმართებაში 3,07 პუნქტამდე დაეცა, თუმცა 20 ნოემბერს 8%-ით გამყარდა. ანალიტიკოსების პროგნოზით, 2016 წლის მარტის ბოლომდე ლირას საშუალო კურსი 3,02 პუნქტი იქნება, სექტემბრისთვის კი 3,08 პუნქტს მიაღწევს.

ბექა დანელია

◎ ნუ შეგყავთ შეცდომაში საზოგადოება!!!

უფასო სასადილოები, უფასო კუბოები... და ფასიანი ტყუილი

მერიის სამსახურმა ყველა რეზონანსულ თემას უპასუხა

მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვას ემოციები არ დაკლებია. ყველაზე საინტერესო და ხმაურიანი სოციალური საკითხების გარშემო აგორებული სკანდალებია, რადგან ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. ყველა რეზონანსულ დეტალზე კომენტარი ვთხოვეთ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსს ბელა ჩივიაშვილს, რომელსაც კითხვები ელექტრონულად გადავუგზავნეთ. მისმა პრესსამსახურმა კი შემდეგი პასუხები მოგვაწოდა.

— ბატონო ბელა, უპირველესად, საინტერესოა უფასო სასადილოების თემა. რეალურად, რა უჯდება სახელმწიფოს უფასო სასადილოებში ერთჯერადი კვების საფასური და რატომ არ შეიცვალა დასახელებული თანხა — 1,18 ლარი დოლარის ცვლილების გამო?

— ქ. თბილისის ტერიტორიაზე უფასო სასადილოებთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს რაიმე შეფერხებაა ბენეფიციართა მომსახურებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური განმარტავს, რომ უფასო სასადილოებში ბენეფიციართა მომსახურებაზე დედაქალაქის ახალი მთავრობის დამტკიცებისთანავე, 2014 წლის აგვისტოში ჩატარდა მონიტორინგი, რის შედეგადაც გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები, კერძოდ:

1. უფასო სასადილოებისათვის პროგრამით განსაზღვრული სამუშაო დღის ბუნდოვანი რეჟიმი;

2. შესაბამისი სამსახურების ობიექტების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის პროფესიული ინსპექტირების არარსებობა;

3. ბენეფიციართა სიების მოუწესრიგებელი აღრიცხვიანობა;

4. ობიექტების ფართის შეუსაბამობა მოთხოვნებთან;

5. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პროდუქტის რაოდენობა, რომელიც უნდა დარჩენილიყო სასადილოებში, ბენეფიციართა ხელმოწერების რაოდენობის მიხედვით, არ შეესაბამებოდა ფაქტიურად დარჩენილ რაოდენობას;

6. ბენეფიციარები უკმაყოფილონი იყვნენ კვების რაციონით;

7. სასადილოები არ იყო ადაპტირებული შშმ პირთათვის.

2014 წლის დეკემბერში მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ რევიზია ჩაუტარდა არსებულ მენიუს და განახლდა მისი კალორაჟი და შემადგენლობა, რის შესაბამისადაც დამტკიცდა ახალი მენიუ, რომელიც ერთჯერად კვებაზე ითვალისწინებს მინიმალურ კალორაჟს (1100-1300კკალ.), ამავე დროს სატენდერო პირობებით გამკაცრდა საკვების ხარისხთან და ბენეფიციართა აღრიცხვასთან დაკავშირებული პირობები.

ამავე პერიოდში ზემოაღნიშნულ მომსახურებაზე გამგეობების მიერ გამოცხადდა მრავალწლიანი ტენდერი (3-წლიანი), რომელმაც ყველა მიმწოდებლისათვის დაადგინა სატენდერო ფასი, რის მიხედვითაც მიმწოდებლები უკვე ერთი წელია, შეუფერხებლად ახორციელებენ ბენეფიციართა მომსახურებას გაცილებით მაღალი ხარისხით, ვიდრე ეს ხორციელდებოდა წინა წლებში. აღსანიშნავია, რომ სამწლიანი ტენდერი უზრუნველყოფს იმასაც, რომ უცვლელი რჩება დადგენილი მენიუს კალორაჟი და შემადგენლობა, მიუხედავად ვალუტის კურსის ცვლილებისა.

ამასთან, ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი მომსახურების ხარისხზე გამგეობის შესაბამისი სამსახურების მიერ და საკვების ხარისხზე სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს მიერ.

— მართალია თუ არა, რომ სოციალურად დაუცველ ხანდაზმულებს ცენტრალურ უბნებში საახალწლოდ გაცილებით ძვირად ღირებული „კალათა“ ერგოთ, ვიდრე გარეუბანში მაცხოვრებლებს? ზოგადად, როგორ ხდება ასეთ დროს სოციალური თანასწორობის დაბალანსება?

— თითოეული გამგეობა საკუთარი ბიუჯეტის ფარგლებში გეგმავს და ადგენს სოციალურად დაუცველთათვის საახალწლო სასაჩუქრე კალათის შემადგენლობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, ნაძალადევის რაიონი აღნიშნული მიმართულებით 6500 სოციალურად დაუცველისთვის 162 500 ლარს ხარჯავს, მიუხედავად იმისა, რომ 1 კალათის ღირებულება 25 ლარია, რაც კრწანისის გამგეობის მიერ დადგენილი ერთი კალათის ფასზე - 29 ლარზე ნაკლებია, თუმცა კრწანისში 2525 სოციალურად დაუცველია და გამგეობა ამ მიმართულებით 73 225 ლარს ხარჯავს.

— „უფასო კუბოების“ თემა, რომელიც ძალიან დამთრგუნველი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის. რა ფაქტორებია გათვალისწინებული, რატომ არის ასე ზუსტად (1714 კუბო) განსაზღვრული?

— თბილისის მერიამ „სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის თანახმად, 2016 წლისთვის სამარხზე მომსახურებისა და სასახლის შესასყიდად 24 ნოემბერს ტენდერი გამოაცხადა.

სატენდერო ღირებულების თანხის ოდენობა 400 ათასი ლარია, რაც მოიცავს 1 420 სამარხზე მომსახურებას, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს სამარის გათხრას, ჩასვენებას, სამარის ამოვსებას, და ბორცვის მოწყობას. აღნიშნულის ღირებულება, ტენდერის პირობების თანახმად, არის 323 300 ლარი.

რაც შეეხება ჩასასვენებელს, 2016 წლისთვის 293 ჩასასვენებლის შესყიდვაზეა ტენდერი გამოცხადებული, რაც 59 150 ლარის ღირებულებისაა. სამარხის და ჩასასვენებლის მომსახურების შესყიდვისას სატენდერო პირობებში ჩადებულია ასაკობრივი კატეგორიებიც. დარჩენილი 17 550 ლარით ხდება უპატრონო მიცვალებულთა (45 სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის) დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების შესყიდვა, რაც გულისხმობს სამარხზე მომსახურებას (სამარის გათხრას, ჩასვენებას, სამარის ამოვსებას, და ბორცვის მოწყობას), სანიტარიულ მომსახურებას, კატაფალკას (საწვავის ჩასხმით) და სამარხზე ლითონის ფირფიტის დამაგრებას.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლამდე მერიის მიერ სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსება ჩასასვენებლის გარეშე, სუდარით ხდებოდა.

— მართალია, თუ არა „რუსთავი-2“-ით გავრცელებული ინფორმაცია, რომ 13 ივნისის დაზარალებულთათვის განკუთვნილი სურსათი ლპება და ფუჭდება? რატომ ხდება ასე?

— ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ით გავრცელებული ინფორმაცია გაფუჭებული სურსათის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულებისთვის დახმარება ამ დრომდე შემოდის. წითელ ჯვარსა და მერიას შორის მემორანდუმია გაფორმებული და წითელი ჯვარი ეხმარება მერიას ტვირთის დარიგებაში. მალფუჭებადი პროდუქტი, რომელიც შემოდის, ოპერატიულად ნაწილდება მერიის მიერ. თუკი რაიმე გაფუჭდა გზაში, მერია ამაზე პასუხს არ აგებს. ,,ბელუქსში“ ძირითადად დასაწყობებულია ჰიგიენური საშუალებები და საოჯახო ნივთები. ყველა ოჯახში საჭიროების მიხედვით ნაწილდება პროდუქტები.

— 13 ივნისის დაზარალებულმა უშანგი ვარდიაშვილმა ასევე „რუსთავი-2“-ის ეთერში განაცხადა, რომ მას კომპენსაცია არ მიუღია. აღმოჩნდა, რომ იგი ტყუილუბრალოდ ადანაშაულებდა მერიას. თუმცა, ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვარდიაშვილს თანხა მას მერე ჩაურიცხეთ, რაც ეს სიუჟეტი გავიდა ეთერში. მართალია თუ არა ეს ინფორმაცია?

— ინფორმაცია არასწორია, რადგან მოქალაქე უშანგი ვარდიაშვილს, რომელიც 13 ივნისის სტიქიის დროს დაზარალდა, მერიამ ჩაურიცხა — 535,841 ათასი ლარის ოდენობის კუთვნილი კომპენსაცია. ეს მოხდა 20 ნოემბერს, ანუ იქამდე, ვიდრე „რუსთავი-2“-ის ეთერით ეს სიუჟეტი გავიდოდა!!!

— გმადლობთ!

ესაუბრა
თეა მოსია

◎ დედაქალაქი

„კუპიდონი“ და „ნერეიდა“ ბოტანიკურ ბაღს დაუბრუნდნენ

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორის ქალბატონ ნინო გოცაძის ინიციატივით, ბაღში აღდგა „კუპიდონის“ („მეჯდომარე ბიჭის“) და „ნერეიდას“ („მოთევზავე ქალის“) ისტორიული სკულპტურები, რომლებიც ბაღში მუზეუმთან და თეთრ ხიდთან, წიწვოვან მცენარეთა კოლექციის ტერიტორიებზე არსებულ აუზებში იყო განთავსებული და ბაღის ღირსშესანიშნაობებს წარმოადგენდა. ქანდაკებები აღდგენილია, დარჩა მხოლოდ კოსმეტიკური სამუშაოები, რომელიც უახლოეს დღეებში დასრულდება.

იგეგმება ისტორიული ქანდაკებების საზეიმოდ გახსნა.

„კუპიდონი“ — 1958 წელს, ხოლო „ნერეიდა“ 1965 წელს შეიქმნა. ისინი დიდი ხნის განმავლობაში ამშვენებდნენ ბოტანიკურ ბაღს, მაგრამ, სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში ვანდალებმა გაანადგურეს.

სულ რამდენიმე დღეში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სტუმრებს კვლავ შეეძლებათ დატკბნენ ამ ორი მშვენიერი სკულპტურით.

დათა თვალაძე.

◎ ალიან-ჩალიანი

დაინერგება ავტომანქანების დაზღვევა და სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ავტომანქანების გაუმართაობის პრობლემის ეტაპობრივი მოგვარების მიზნით, საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჩატარების ინიციატივით გამოდის.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ადამიანების, ბავშვების ჯანმრთელობა.

„შეიძლება, ერთი ადამიანი გავანაწყენოთ და 20-ის სიცოცხლე ვიხსნათ. ვფიქრობ, ამაზე შეიძლება საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩავატაროთ. ვკითხოთ მოსახლეობას, რა ურჩევნიათ. რაღაც ხარჯი შეიძლება გაწიოს ადამიანმა, რომელსაც არ აქვს კატალიზატორი, შეიძლება კომპანიებს ვთხოვოთ, რომ გააკეთონ განვადება, მაგრამ ეს სასწრაფოდ დასარეგულირებელია, ეს არის ძალიან რთული საკითხი, რომელიც ბევრ ადამიანს აწუხებს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ამის შემდეგ, ეტაპობრივად, ავტომანქანების დაზღვევა და სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება დაინერგება. ცვლილებები დროში გაიწერება. პრემიერი მიიჩნევს, რომ ამ საკითხს დროსა და სივრცეში დანახვა, გეგმის შემუშავება, მოსახლეობისთვის წარდგენა და განხორციელება სჭირდება. გეგმას მთავრობა მოსახლეობას უახლოეს მომავალში წარუდგენს.

ოცნების ქალაქი დაიტბორა

ხელვაჩაურში 53-ე ბატალიონში წვიმის შედეგად დაიტბორა ე.წ. ოცნების ქალაქი, სადაც დროებით ჩასახლებულები ცხოვრობენ. ისინი სახლებიდან გამოსვლას მთელი ღამე ვერ ახერხებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ წყლის დონემ დაიწია, თვითნებურად შესახლებული 17 ოჯახი მძიმე მდგომარეობაში რჩება. მათ გაუნადგურდათ დროებით სადგომებში არსებული ნივთები. მოსახლეობა დახმარებას მთავრობას სთხოვს. მათი განცხადებით, მთელ ტერიტორიაზე წყლის გუბეები დგას, რის გამოც ბავშვები სახლებიდან გამოსვლასა და სკოლებსა და ბაღებში წასვლას ვერ ახერხებენ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სტოლტენბერგი: ნატოს კარი ღია საქართველოსთვის

საქართველოს იმედი აქვს, ჩერნოგორიის შემდეგ გახდეს ალიანსის წევრი

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას – შევიდეს ნატოში, და ალიანსის კარი მისთვის ღიაა. ამის შესახებ 2 დეკემბერს განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა – მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება მიიწვიონ ჩერნოგორია – გახდეს ბლოკის 29-ე წევრი.

„როგორც მე უკვე განვაცხადე, როგორც ადრეც, მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს მისწრაფებას ალიანსში წევრობისაკენ. დღეს ჩვენ დავინახეთ, რომ ნატოს კარი კვლავ ღიაა... საქართველოსთან ერთად ჩვენ ვმუშაობთ მთელ რიგ სფეროებში. ამას გარდა, ვაფართოებთ პოლიტიკურ დიალოგს... ბოსნია და ჰერცოგოვინა, საქართველო და იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია გვიჩვენებენ პროგრესს ნატოს წევრობისაკენ მიმავალ გზაზე“, – განუცხადა გენერალურმა მდივანმა ჟურნალისტებს.

თავის მხრივ, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკიავიჩუსმა ტვიტერში დაწერა, რომ ნატოში ჩერნოგორიის მოწვევის შემდეგ, დღეისათვის „ჩვენი მიზანია, რომ საქართველო იყოს შემდგომი“.

აღსანიშნავია, რომ ეს არის ალიანსის პირველი გადაწყვეტილება 2009 წლიდან. რუსეთმა, რომელიც ეწინააღმდეგება ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთისაკენ, უკვე განაცხადა, რომ ჩერნოგორიის მიერთება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან მიგვიყვანს „სიპასუხო მოქმედებამდე“ რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

მინისტრების განცხადება

ალიანსის მიერ ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების გამოქვეყნებულ განცხადებაში საქართველოსთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ბუქარესტის 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ალიანსის წევრობის მოქმედებათა გეგმის ფარგლებში ძალაში რჩება.

მინისტრებმა შეაქეს საქართველო „პროგრესის განხორციელებისათვის“ გაძლიერებული თანამშრომლობის ახალი პაკეტის რეალიზაციაში, რომელიც მიენიჭა ქვეყანას ნატოს სამიტზე უელსში შარშან, მათ შორის ერთობლივი სამხედრო სწავლების და საქართველოში ერთობლივი სასწავლო ცენტრის გახსნის ჩათვლით. ეს ყოველივე, ნატოს ქვეყნების მინისტრების თანხმობით, განამტკიცებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას. დასკვნაში ნათქვამია, რომ ალიანსს განზრახული აქვს გააგრძელოს საქართველოსთვის დახმარება ნატოს წევრობისათვის მზადებაში.

„ვარშავაში სამიტისათვის მზადებასთან დაკავშირებით ჩვენ შევისწავლით ახალ პრაქტიკულ გზებს – გავააქტიუროთ ძალისხმევა, მათ შორის პოლიტიკური დიალოგის გზითაც უმაღლეს დონეზე და თანამშრომლობის გაძლიერებისათვის, მათ შორის თავდაცვისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში“, – განაცხადეს მინისტრებმა.

კომუნიკეში აღნიშნულია საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები „დემოკრატიის გაძლიერებისაკენ“, მათ შორის რეფორმები მართლმსაჯულების სისტემაში, უშიშროების სფეროში, სამხედრო ძალებისა და ინსტიტუტების მოდერნიზაციაში. ამავე დროს ნატოს ქვეყნების მინისტრები შეგვახსენებენ ამასწინანდელ მოვლენებს, რომლებიც შეეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და მოუწოდებენ თბილისს, გააგრძელოს რეფორმების პროცესი, რაშიც, კომუნიკეს თანახმად, ნატოს ქვეყნები აუცილებლად დაუჭერენ მხარს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი „დიდად აფასებს“ საქართველოს წვლილს ნატოს რეაგირების ძალებში და სამშვიდობო მისიები ავღანეთში საერთო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

აღსანიშნავია, რომ, როგორც 1 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, საქართველო მზადაა 2016 წელსაც გააგრძელოს ავღანეთის მისიაში „გადამჭრელი მხარდაჭერა“, რომლის მიზანიცაა უშიშროების ძალების გამტკიცება ავღანეთში. საქართველოს მხრიდან მისიაში დაახლოებით 900 სამხედრო მონაწილეობს.

ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელების განცხადებაში კვლავ არის მოწოდება რუსეთისადმი, გაიწვიოს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლად აღიარება და გამოიყვანოს ამ ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარები. როგორც მინისტრები აცხადებენ, ნატო არ აღიარებს იმ საინტეგრაციო შეთანხმებათა გაფორმებას მოსკოვსა და ამ რეგიონებს შორის, რომლებიც არღვევენ საქართველოს სუვერენიტეტს და ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ალიანსი მიესალმება ვალდებულებას, რომელიც იკისრა საქართველომ ძალის გამოუყენებლობის შესახებ და მოუწოდებს რუსეთს უპასუხოს ამითვე. ნატო აცხადებს, რომ მხარეებმა უნდა გამოიჩინონ კონსტრუქციულობა გზების ძიებაში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

„მტკიცე არჩევანი“

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმა ნატოს წევრი ქვეყნების მინისტრების განცხადებას საქართველოს მიმართ „ღია კარის პოლიტიკის“ გაგრძელებასთან დაკავშირებით, შეაფასა ეს, როგორც „მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე“. თბილისი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოკავშირეების მხრიდან პირველად გამოცხადდა ოფიციალურად, რომ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი ალიანსის წევრობისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

„რაც შეეხება მაპს, ფაქტობრივად, იგი ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილების ნაწილად, რომელიც მიღებული უნდა იქნეს ნატოში საქართველოს მიწვევასთან დაკავშირებით“, – ნათქვამია საქართველოს საგარეო სამინისტროს 2 დეკემბრის განცხადებაში.

საქართველოს საგარეოპოლიტიკურმა უწყებამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს მზადყოფნას – გააგრძელოს ქვეყანაში რეფორმები და მოდერნიზაციის პროცესი „ქართველი ხალხის მტკიცე არჩევნების უზრუნველყოფის მიზნით – შეუერთდეს ნატოს“.

„მეტი აქტიურობა“

საქართველოს ხელისუფლებისაგან განსხვავებით, რომელმაც გამოთქვა კმაყოფილება საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით ნატოსკენ მიმავალ გზაზე, საპარლამენტო ოპოზიცია მაინც უკმაყოფილო დარჩა. როგორც ოპოზიციონერები აცხადებენ, საქართველოს ხელისუფლების „არაკოორდინირებულობამ და არათანმიმდევრულობამ“ შეიძლება სამომავლოდ შექმნას პრობლემები ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

ოპოზიციის აზრით, ხელისუფლებას არ უნდა დაეშვა დასავლელი მოკავშირეების მხრიდან ისეთი საკითხების გაჩენა, რომლებიც შეეხება სიტყვის თავისუფლებასა და კანონის უზენაესობას ქვეყანაში. უფრო მეტიც, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიაში – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მიიჩნევენ, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს პრემიერმა უფრო აქტიურად უნდა გაუწიონ ლობირება საქართველოს ატლანტიკურ ინტეგრაციას საერთაშორისო ფორუმებზე და შეხვედრებზე დასავლელ მოკავშირეებთან.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ოპერაციამ სირიაში პუტინს მოუტანა „გლობალური მოაზროვნის“ წოდება FOREIGN POLICY -ის ვერსიით

ამერიკული გამოცემის რეიტინგში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი შევიდა კატეგორიაში „იმ ადამიანებისა, რომლებიც ღებულობენ გადაწყვეტილებებს“. გამოცემის აზრით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ეს წოდება მოიპოვა სირიაში საჰაერო ოპერაციების გამო. ამავე დროს Foreign Policy-ის გამოხმაურებაში ნათქვამია, რომ ვლადიმერ პუტინი შეიტანეს რეიტინგში „მშვიდობისმყოფელის როლისათვის, რომელიც ყრის ბომბებს“.

* * *

აშშ: ისლამის სახელმწიფო ნავთობს აგზავნის თურქეთის საზღვრის გავლით, მაგრამ ანკარის მონაწილეობის გარეშე

სახელმწიფო დეპარტამენტში განაცხადეს, რომ ვერ ხედავენ ვერც ერთ დადასტურებას იმ მტკიცებათა ჭეშმარიტებაში, რომელიც წინა დღეს გაავრცელა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ. ამავე დროს ვაშინგტონი არ გამორიცხავს, რომ ისლამური სახელმწიფო ახორციელებს ნავთობის კონტრაბანდულ მიწოდებას, მათ შორის თურქეთის საზღვრის გავლითაც. მაგრამ ეს არ მეტყველებს ანკარის მონაწილეობაზე სათბობის შესყიდვაში, ხაზგასმით აღნიშნავენ სახელმწიფო დეპარტამენტში.

* * *

კოპენჰაგენში ზოოპარკის დამთვალიერებელი შეძვრა თეთრი დათვის ვოლიერში



ზედამხედველები იძულებული გახდნენ გაეხსნათ ცეცხლი რეზინის ტყვიებით, რათა გადაერჩინათ მამაკაცი შეშფოთებული მხეცისაგან. დამრღვევმა მოასწრო წუთნახევრით ყოფნა მხეცთან ერთად და გადარჩა მსუბუქი ნაკაწრებით – ამ პერიოდის განმავლობაში დათვმა მოასწრო დაესუნა მისთვის და ეკრა თათი, აგრეთვე შემდგარიყო მასზე.

* * *

ბრიტანეთის პარლამენტმა სანქცია მისცა სამხედრო ოპერაციის დაწყებას სირიაში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ

ადრე ბრიტანეთი ბომბავდა მიზნებს მხოლოდ ერაყის ტერიტორიაზე. ოპერაციის გაფართოება მოუწოდა მთავრობამ, კენჭისყრის წინ გაიმართა მრავალრიცხოვანი ოპერაცია ამის წინააღმდეგ. თემთა პალატაში პრემიერ კემერონს 397-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 223 წინააღმდეგი იყო.

* * *

კალიფორნიაში პოლიციამ დახვრიტა საეჭვახო წყვილი, რომელმაც კონფერენც-ცენტრში 14 კაცი მოკლა

თავდაპირველად იტყობინებოდნენ, რომ ხოცვა-ჟლეტა მოაწყო სამმა კარგად მომზადებულმა მამაკაცმა, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ თავდასხმა განახორციელეს მამაკაცმა და ქალმა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დაასახელეს ეჭვმიტანილთა სახელები – ესენი არიან 28 წლის საედ რიზვან ფარუკი და 27 წლის ტაშფინ მალიკი. პრესის მონაცემებით, ფარუკი და მალიკი ცოლქმარია და ჰყავდათ ექვსი თვის ქალიშვილი.

როგორ შეიძლება...

ზოგადად, უამრავი რამ არ შეიძლება იკადრო (გააკეთო ან არ გააკეთო) ცხოვრებაში კაცმა, განსაკუთრებით კი — პოლიტიკაში, და ამიტომ, ცხადია, ყველაფერს ვერც ჩამოვთვლი, მხოლოდ ზოგიერთებზე შევჩერდები. ვფიქრობ, სწორი დასკვნების და არჩევანის გასაკეთებლად ესეც საკმარისი იქნება:

1. **<u>როგორ შეიძლება პრეზიდენტად გვყავდეს ადამიანი, რომელიც საკუთარ ერს „ავადმყოფს“,„ინფანტილურს“, „ლაბილური ფსიქიკის მქონეს“, „ჩლუნგს“, „გონებრივად ჩამორჩენილს“, „გონებასუსტს“, „სულელს“ და „დებილს“ უწოდებს</u>** (თავის „ფილოსოფიურ“ ნაშრომში „ნიჩურტა! — მე ქართველი ვარ!“, ჯერ კიდევ 2001 წელს)! ვინ მისცა 30 წლის ბიჭს (თუნდაც 100 წლისაც ყოფილიყოს!) უფლება, ასეთი ეპითეტებით „შეამკოს“ მისი მშობელი (ნებისმიერი!) ერი?! ამერიკულმა „ენ-დი-აიმ“ თუ „თავისუფლების ინსტიტუტმა“?! ვისაც არ უნდა გაეწია მარგველაშვილისთვის რეკომენდაცია, ვისაც არ უნდა ებრძანებინა ჩვენთვის, ერის შეურაცხმყოფელი ადამიანი პრეზიდენტად კი არ უნდა აგვერჩია, მისთვის პასუხი უნდა მოგვეთხოვა, ან სამკურნალოდ გაგვემწესებინა შესაბამის დაწესებულებაში, და არა — პრეზიდენტის სასახლეში!

ალბათ, მართლა დებილები ვართ, ალბათ, უკეთესის ღირსნი არც ვართ ქართველები! ფაქტია, ისე გამოგვათაყვანეს ტვინის მიზანმიმართული გამორეცხვებით, რომ როგორც სურთ, ისე გვაცუმბუშებენ და სახეშიც გვაფურთხებენ შინ და გარეთ — ცალკე „ხალხის რჩეულები“ და, ცალკე — „სტრატეგიული მეგობრები“!

2. **<u>როგორ შეიძლება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ გვყავდეს ადამიანი, რომელიც კომუნისტურ პარტიაში 1989 წლის 9 აპრილს შევიდა!</u>** იმ დაუვიწყარ 9 აპრილს რომ შევა კაცი 9 აპრილის ტრაგედიის მომწყობ პარტიაში, ის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში არ უნდა იჯდეს — ჩვენგან ამის დაშვება ჩვენს მოკლე მეხსიერებაზე და, გნებავთ, უზნეობაზეც მეტყველებს — იმ ღამეს დაღუპული 21 ახალგაზრდის მემორიალურ ქვასთან ყვავილების მიტანა საკმარისი არაა მათი წმინდა სულების ხსოვნისთვის პატივის მისაგებად! ცხადია, უწინარესად, ეს იმ დეპუტატების ზნედაცემულობაზე მეტყველებს, რომლებმაც ყველაფერი ეს იცოდნენ და პარლამენტის თავმჯდომარედ მაინც უსუფაშვილი აირჩიეს, ხოლო ვიცესპიკერად კიდევ უფრო „უკეთესი“ — ბარამიძე!

3. **<u>როგორ შეიძლება არ ვითხოვდეთ (ყველანი, და არა მარტო „პატრიოტული ალიანსი“!) თავდაცვის მინისტრის გადაყენებას,</u>** რომელსაც საარჩევნო ბიულეტენების მონაცემები თავისი ხელით შეჰქონდა კომპიუტერში! ყოვლად წარმოუდგენელია ჩვენი მახინჯი საარჩევნო კანონმდებლობითაც კი, საარჩევნო კომისიის წევრების გარდა კიდევ ვინმეს ჰქონდეს ხმების დათვლის უფლება.

4. **<u>როგორ შეიძლება ქმარი პარლამენტის თავმჯდომარე იყოს და ცოლი — თავდაცვის მინისტრი!</u>**

5. **<u>როგორ შეიძლება პროკურატურას ამდენი სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი სამხილი ჰქონდეს აუდიოჩანაწერების სახით, თანაც, მოსაუბრეების მიერ აღიარებული, ავთენტურად ცნობილი, და არც ერთ მათგანს, არც ერთს(!) არ აპატიმრებდეს!</u>**

6. **<u>როგორ შეიძლება მილიონობით სხვისი ქონების ყაჩაღურად მიმტაცებლებს, მწამებლებს, მკვლელებს და ყველაფერი ამ უმსგავსობის იურიდიულად „გამპრავებელ“ მოსამართლეებს, რომლებსაც ციხეში უდანაშაულოდ ჩაყრილი ათასობით ადამიანის ცოდვა აწევთ კისერზე, პასუხს არ სთხოვდეს ხელისუფლება, არ ასამართლებდეს!</u>**

7. ნემსის ქურდიც და აქლემის ქურდიც, ორივენი ქურდები არიან, მაგრამ **<u>როგორ შეიძლება 500 ლარის ქრთამის აღებისთვის (კერძო პირისგან, ნებით მიცემული) და სახელმწიფო ხაზინიდან (ანუ ჩვენი ჯიბეებიდან და ჩვენდა უკითხავად!), 50 მილიონის მოპარვისთვის ადამიანები ერთნაირად ისჯებოდნენ</u>** ან, უფრო მეტიც, მილიონების გამფლანგველები, საერთოდ არ ისჯებოდნენ, ადგილსაც კი არ ჰკარგავდნენ, ან სულაც — წინაურდებოდნენ!

8. **<u>როგორ შეიძლება ბილწსიტყვაობა, ათასნაირი უხამსობა და დედის გინება ისმოდეს ტელეეკრანიდან (ფილმებშიც) დღისით და ღამით, და ეს არ იკრძალებოდეს კანონის ძალით, და ეს სიტყვის, გამოხატვის თავისუფლებად ითვლებოდეს!</u>**

9. განვლილი არჩევნების (საპარლამენტო, საპრეზიდენტო და შუალედური) მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე და, აგრეთვე, „ნარჩევ-ნარჩევი“ მინისტრების შემხედვარე, **<u>როგორ შეიძლება ხმა მივცეთ იმ კანდიდატს (პერსონალურად იქნება ეს, თუ პარტიის სახით), რომელებსაც ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი შეგვირჩევს ან რეკომენდაციას გაუწევს.</u>** უპირველესად, ვგულისხმობ მის მიერ ჩვენთვის თავს მოხვეულ „რესპუბლიკურ“ და „თავისუფალი დემოკრატების“ პარტიებს უსუფაშვილის და ალასანიას წინამძღოლობით, პრეზიდენტ მარგველაშვილს, დეპუტატ ქალბატონებს — კორძაიას და ხიდაშელს. პოლიტიკური უმწიფრობით მოსდის მას ეს შეცდომები (მის მიერ ნაწილობრივ აღიარებული!) თუ გარედან აიძულებენ, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

10. **<u>როგორ შეიძლება</u>** ზრდასრულმა ადამიანმა **<u>იცოდე „ნატოს“ „საქმენი საგმირონი“,</u>** თუნდაც, მხოლოდ 1999 წლიდან — ბელგრადის დაბომბვიდან დღემდე ჩადენილი (ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში და ევროპაშიც), იცოდე, რომ ნგრევის, სისხლის და ცრემლის მდინარეების მეტი „ნატოს“ არაფერი მოუტანია ამ ხალხებისთვის, **<u>და მაინც ამ დაუნდობელ სამხედრო ბლოკში გაწევრებისკენ მიისწრაფვოდე,</u>** მეორე ათეული წელია, „ნატო-ნატოს“ გაიძახოდე და სხვის აყოლიებასაც ცდილობდე ყველანაირი ტყუილ-მართალით... ეს ხომ კლინიკური შემთხვევაა — ნებისმიერი ფსიქიატრი, ყოველგვარი კონსილიუმის გარეშე, უშეცდომოდ დასვამს დიაგნოზს — რომ ამ კატეგორიის ადამიანებს მთლად დალაგებულად არ უნდა ჰქონდეს ყველაფერი თავში, ან — სულში! საღად მოაზროვნემ იცის — ჭეშმარიტ დემოკრატიას ცეცხლით და მახვილით არ ამყარებენ, მით უფრო, სხვის მიწაზე, დემოკრატიისთვის მილიონობით(!) ქალსა და კაცს, ბავშვს და მოხუცს სასიკვდილოდ არ იმეტებენ; რომ შეუძლებელია, მართლა ებრძოდეს „ნატო“ (28 სახელმწიფო პლუს საქართველო!) ტერორიზმს 15(!) წლის მანძილზე და შედეგი საპირისპირო იყოს — ტერორისტული აქტები ხშირდებოდეს; რომ ლამის ორი წლის განმავლობაში გამუდმებით ბომბავდეს ტერორისტულ ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს, ის კი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდეს, ფართოვდებოდეს, და დიდი ხნის წინათ „გადემოკრატებული“ ევროპის შუაგულშიც უსასტიკეს ტერორისტულ აქტებს გიწყობდეს! ასეთი რამ მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაშია შესაძლებელი — როცა ეს ტერორისტული ორგანიზაციები, ალ-კაიდათი დაწყებული და ისლამური სახელმწიფოთი დამთავრებული, შენი, ანუ „ნატოს“ შექმნილ-დაფინანსებულ-შეიარაღებულია. და ეს რომ ასეა, უკვე დიდი ხანია და ბევრჯერაა დადასტურებული; დამატებით კი, შეგახსენებთ რამდენიმე ფაქტს — ისლამურ სახელმწიფოსთან „მებრძოლი“ სახელმწიფოები სიამოვნებით ყიდულობენ ნავთობს ტერორისტებისგან(!) ნახევარ ფასში; ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ერაყის მთავრობას აფრთხილებს — თუ რუსეთს ტერორისტების დაბომბვის უფლებას მისცემთ, დახმარებას შეგიწყვეტთ; და ბოლოს, ფოტოდოკუმენტი — სააკაშვილის მეგობრის მაკკეინის ფოტოსურათები, ისლამური სახელმწიფოს ლიდერებთან მეგობრულ ატმოსფეროში გადაღებული! ყოველივე ამის პარალელურად ხედავდე, თუ როგორ წარმატებას მიაღწია მარტოდმარტო(!) რუსეთმა ტერორისტებთან ბრძოლაში, თანაც, ნაკლები ძალებით და სულ რაღაც ერთ თვეში(!), და მაინც ვერ (არ) გამოგქონდეს ობიექტური დასკვნა, მიუთითებს მხოლოდ სამ რამეზე: ან წესიერი, მაგრამ გულუბრყვილო ადამიანი ხარ, რომელსაც „რუსთავი-2“-მა გამოგირეცხა ტვინი, ან „კრამიტი გაქვს დაცურებული“ გვარიანად და აღარაფერი გეშველება, ანდა, კარგადაც ხვდები ყველაფერს, მაგრამ სული ეშმაკისთვის გაქვს მიყიდული! ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ სულგაყიდულობაა ყველაზე გავრცელებული სენი დღეს საქართველოში!

11. ბოლო „როგორ შეიძლება“-ზე უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდე, ვინაიდან ქართულ პოლიტიკაში ახალი მოთამაშე შემოდის (ამერიკიდან მხარდაჭერილი და, ბუნებრივია, იქვე შერჩეული!) — მომღერალ პაატა ბურჭულაძის და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონდის — „საქართველოს განვითარების ფონდის“ სახით.

<u>როგორ შეიძლება გამოჩენილი საოპერო მომღერალი პოლიტიკური მოღვაწეობის უცილობლად დამადასტურებელ ნაბიჯებს დგამდე</u> — სახელმწიფო დეპარტამენტის(!) მაღალჩინოსნებს ხვდებოდე (ინსტრუქტაჟის მისაღებად, ცხადია!), ივანიშვილს, ალასანიას და, რაც მთავარია, საქართველოს „საამაყო შვილს“ — სააკაშვილსაც(!) ხვდებოდე, ყველა კონტრაქტს, ყველა დაგეგმილ კონცერტს მსოფლიოს საოპერო თეატრებში აუქმებდე(!) საქართველოში მეორე ფონდს, ამჯერად, პოლიტიკურს აყალიბებდე (მაშინ, როცა ერთი — საქველმოქმედო უკვე ჩამოყალიბებული გაქვს) **<u>და შენს ხალხთან, რომელსაც უყვარხარ და რომელიც ამაყობს შენით, გულახდილი არ იყო,</u>** ჟურნალისტების პირით მიკიბულ-მოკიბულად ამცნობდე, დაახლოებით, ასე: „არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია (პოლიტიკაში მოსვლა), არც ოპერის მომღერლობას ვაპირებდი, მაგრამ ცხოვრებამ მაიძულა, ვნახოთ, ცხოვრება მაჩვენებს...“! ამ არაგულწრფელობას ვინ ჩივის, მთავარია, თუ ვინ ვიხილეთ მის გვერდით — ჩვენდა გასაკვირად, მხოლოდ „მიშისტები“ და ისეთი გამოკვეთილი რუსოფობები, რომლებსაც რუსეთის ხსენებაზე ლამის გულყრები ემართებათ (ხათუნა ლაგაზიძე, სოსო ცისკარიშვილი) და, რომლებიც რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის მომხრეებს აგენტებს არა, მაგრამ „რუსეთის მონებს“ გვიწოდებენ, რაც, ჩემი აზრით, კიდევ უფრო შეურაცხმყოფელია; ფონდის თავმჯდომარედ ინიშნება აშკარა „მიშისტი“, „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, არჩევნების გაყალბების დიდოსტატის (ხათუნა გოგორიშვილთან ერთად) მიხეილ მაჭავარიანის ძმა, მარგველაშვილის ყოფილი მრჩეველი, უღირს საქციელში მხილებული ვანო მაჭავარიანი. სწორედ ამ ვანო მაჭავარიანს იგულისხმებდა საკაშვილი უთუოდ პირველ რიგში, როდესაც ადეიშვილს ესაუბრება ტელეფონით ფონდის თაობაზე — რომ ამ ფონდს მან თავისიანები(!) „მიაბა“ და, რომ ეს ფონდი „მესამე ძალად უნდა ააგორონ“, რასაც პროპაგანდას „რუსთავი-2“ გაუწევს, „პიარპროგრამას კი უშუალოდ გვარამია და თარგამაძე გააკეთებენ“ (საუბრის სტენოგრამა, ისევე, როგორც წინა, ავთენტურად აღიარებული მასალები, უკრაინულმა „ვიკილიკსმა“ გაავრცელა).

შეიძლება, პოლიტიკაში ვერ ერკვეოდე კაცი ისე კარგად, როგორც სოლფეჯიოში ან, საერთოდ ვერ ერკვეოდე, როგორც ყველა რუსოფობი ექსპერტი, რომლებსაც დღემდე ჰგონიათ, რომ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნების გასაღები „ნატოში“ ძევს და არა — რუსეთში, მაგრამ ისეთი პიროვნებები მაინც არ უნდა დაიყენონ გვერდით, რომ ხალხს მათ დანახვაზე გულისრევები დაეწყოს (სამარცხვინო „მწერალი“ ერეკლე დეისაძე და „ხელოვანი“ ქეთათო ჩარკვიანი!).

რუსოფობ ექსპერტებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ითქვას შემდეგი: სიყალბეში მრავალჯერ გამოჭერილი ამერიკული „ენ-დი-აის“ კვლევებითაც კი რუსეთისკენ მოსახლეობის 31 % იხრება. სინამდვილეში, ალბათ, 71 % იქნება ან, სულაც, 81% (!) — გამოკითხულთა სწორედ ამდენმა პროცენტმა დაუჭირა რუსეთს მხარი თურქეთთან დაპირისპირებაში (მაგდა ანიკაშვილის გადაცემაში „მაესტროს ფაქტორი“), რამაც წყობიდან გამოიყვანა ახალი ფონდის თავმჯდომარე ვანო მაჭავარიანი — მან პირდაპირ განაცხადა „მაესტროს“ ეთერში, რომ იგი და ფონდის დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძეც თურქეთის მხარეს არიან, და არა — ტერორისტების წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის! რატომ?! გაიკვირვებს ნებისმიერი ადამიანი — განა ნორმალურია, განა შეიძლება ტერორისტების ან მათი დამხმარეების მხარეს ყოფნა?! თურმე, შეიძლება და, თანაც, მხოლოდ იმიტომ, რომ თურქეთი „ნატოს“ წევრი ქვეყანაა და, რაც არ უნდა ჩაიდინოს, რაც არ უნდა ხელი შეუწყოს, იარაღი მიაწოდოს ტერორისტებს, იგი მაინც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი იქნება! აი, ასეთი პრაგმატული (საკუთარი კარიერისთვის!) იდეოლოგიის მატარებელი რუსოფობებია თავმოყრილი ამ ფონდში და, მათ შორის, პირველი ვიოლინოების როლში ხათუნა ლაგაზიძე და სოსო ცისკარიშვილი გვევლინებიან. მაჭავარიანის შემდეგ, გადაცემაში ვიხილეთ „მწერალი“ ლაშა ბუღაძე (ნეტამც არ გვეხილა!), რომელიც ამ პროცენტებით გაცოფებული და პირაქაფებული სულ დორბლებს ყრიდა, რომ იტყვიან, „ლამის შიგანიც გამოიხია“. ამაში დამეთანხმება აბსოლუტურად ყველა ტელემაყურებელი, ვინც კი ამ გადაცემას უყურა. მართლა ვაი ჩვენ თავს ასეთი „მწერლების“ ხელში!

ენ-დი-აის გამოკვლევების და ცოცხალი გამოკითხვების მიუხედავად, საეთერო დროის 90%-ზე მეტი ყველა არხზე რუსოფობებს ეთმობათ („ობიექტივის“ გამოკლებით, თუმცა, იქაც საკმაოდაა რუსოფობი წამყვანი), და ისინიც მაქსიმალურად აღვივებენ რუსოფობიას. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდება თურქეთის მიერ, ბევრს გაეხარდა ჩვენთან. იმას კი არავინ ახსენებს, რომ თუ არა საბჭოთა

მაპი მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების გამოხატულებაა

„მონტენეგროს ჩვენზე მეტი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ რუკას თუ დავხედავთ, მივხვდებით, ეს ყველაფერი რატომ ხდება“

მონტენეგრო ნატოს წევრი ხდება, საქართველოსთვის კი MAP-ის მიცემა პოლიტიკური გადაწყვეტილების კომპონენტად რჩება. 1-2 დეკემბერს, ბრიუსელში გამართული მინისტერიალის ფარგლებში, ნატომ საქართველოსთან დაკავშირებით კომუნიკე მიიღო, სადაც ქვეყნის პროგრესი აღნიშნულია და ხაზგასმულია, რომ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღწეული შეთანხმებისამებრ, საქართველო ნატოს წევრი გახდება და MAP-ს მიიღებს, როგორც ამ პროცესის განუყოფელ ნაწილს.

დოკუმენტის მიხედვით, ვარშავის სამიტისთვის, ნატო საქართველოსთან პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის ახალ პრაქტიკულ გზებს შეისწავლის.

„საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან შეიცავს ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რომელიც საბოლოო წევრობის მოსამზადებლადაა საჭირო. ვარშავის სამიტისთვის მზადების ფარგლებში, ახალ და პრაქტიკულ გზებს შევისწავლით, რათა უფრო ინტენსიური გავხადოთ ძალისხმევა, მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგისა და მზარდი კოოპერაციის გზის ჩათვლით. მათ შორის, თავდაცვისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში“, — აღნიშნულია კომუნიკეში.

„საქართველოს მოვუწოდებთ, რეფორმების ძალისხმევაში ის ტემპი შეინარჩუნოს, რომელსაც მხარს კვლავ ვუჭერთ. ნატო საქართველოს კონტრიბუციას ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში და ოპერაციებში მაღალ შეფასებას აძლევს და აღიარებს იმ მსხვერპლს და წვლილს, რომელიც ქართველმა ხალხმა ჩვენს საერთო უსაფრთხოებაში შეიტანა“, — ნათქვამია კომუნიკეში, რომელსაც შეფასებები ქართულ პოლიტიკურ წრეებში მოჰყვა.

საგარეო უწყება მიიჩნევს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრებისთვის ყველა ინსტრუმენტი აქვს და MAP პოლიტიკური გადაწყვეტილების კომპონენტად რჩება, მმართველი გუნდი ფიქრობს, რომ მიღებული კომუნიკე წინ გადადგმული ნაბიჯია, ხოლო ოპოზიცია ხელისუფლებას ნატოში მყარი და ერთიანი მესიჯების გაგზავნას ურჩევს.

როგორც for.ge-ს ახალი პოლიტიკური ცენტრის — „გირჩის“ წევრმა ზურაბ ჯაფარიძემ განუცხადა, ნატოს გაფართოება გრძელდება და მონტენეგროს მაგალითიც ამის დადასტურებაა.

for.ge-სთან საუბარში ნაციონალი სერგო რატიანი ამბობს, რომ საქართველომ ნატოში გაწევრების კუთხით მუშაობა უნდა გააგრძელოს, რადგან ეს მისი ნაციონალური ინტერესია და ქვეყნის უსაფრთხოება ნატოში ინტეგრაციას უკავშირდება.

ოპოზიციის მსგავსად, მიღებულ კომუნიკეს მნიშვნელოვან დოკუმენტად მიიჩნევს უმრავლესობის ლიდერი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე.

„ალიანსის წევრებმა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიმართ თავიანთი ერთგულება კვლავ დაადასტურეს, რომლის თანახმად, საქართველო ნატოს წევრი გახდება. მინისტერიალის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ის იყო, რომ მოკავშირეებმა პირველად, საჯაროდ დაადასტურეს, რომ საქართველოს ნატოს წევრობისთვის მოსამზადებლად ყველა პრაქტიკული მექანიზმი აქვს“, — აცხადებს უმრავლესობის ლიდერი.

მინისტერიალზე განვითარებულ პროცესებს დადებითად აფასებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ანი მიროტაძე.

„ვფიქრობ, რომ ეს კარგი კომუნიკეა, — ამბობს იგი, — მიზანთან ძალიან ახლოს მივედით. კომუნიკეში ხაზგასმულია, რაც გავაკეთეთ. მითითებულია ხარვეზებიც, რაც გასაკეთებელია. იმედი მაქვს, რომ MAP გვექნება და ჩვენს მიზანს მივაღწევთ. ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ წინ გადადგმული ნაბიჯი და დაახლოებაა ნატოსთან. მონტენეგროს საკითხი სუფთა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და დარწმუნებული ვარ, საქართველოსთან მიმართებაში, ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული. მონტენეგროს ჩვენზე მეტი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ რუკას თუ დავხედავთ, მივხვდებით ეს ყველაფერი რატომ ხდება“.

ნატოში განვითარებულ პროცესებს იმედის თვალით უყურებს ფრაქცია „რესპუბლიკელებიც“. for.ge-სთან საუბარში ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თამარ კორძაიას განცხადებით, ამ კომუნიკემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ნატო ღია კარის პოლიტიკას აგრძელებს. კანონმდებლის მოსაზრებით ყველაზე მნიშვნელოვანია ნატოს განაცხადი — **„საქართველო ყველა ღონეს ხმარობს, რათა საკუთარი ვალდებულებები შეასრულოს და მსოფლიო მშვიდობაში საკუთარი წვლილი შეიტანოს“.**

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციას, გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების ვარშავის სამიტის დღის წესრიგში შეტანა, სადაც მიღებული იქნება ურთიერთქმედების გაღრმავების დამატებითი და ახალი კომპონენტები.

„გაწევრების სამოქმედო გეგმა — MAP-ი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების გამოხატულებად რჩება“, — დასძენს მინისტრი.

თეონა მანაგაძე

◉ ალიან-ჩალიანი

წულუკიანის აზრით, იქით შეგვეხვეწებიან ნატოში მიღებას

რეფორმები გაგრძელდება არა იმიტომ, რომ ეს ვინმემ გარედან მოითხოვა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი და ქართველი ხალხის ნებაა, იცხოვროს უკეთეს, უფრო ძლიერ სახელმწიფოში, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ნატოს კომუნიკეს გამოხმაურებისას.

„ვერც მართლმსაჯულების რეფორმას, ვერც ადამიანის უფლებების კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აყვანას, იმ პროცესებს, რაც სამი წელია უკვე მიმდინარეობს, ვერაფერი წინ ვერ დაუდგება. რეფორმები გაგრძელდება და ჩვენ ყოველი ახალი მთავრობის პირობებში მოვესწრებით კიდევ უფრო და უფრო ძლიერ ქართულ სახელმწიფოს, უფრო ევროპულ სახელმწიფოს და ინსტიტუციურ დემოკრატიას; ინსტიტუტებს, რომლებიც ძლიერია და საქართველოს სახელმწიფოს, რომელიც რომელიმე ერთ ბელადზე კი არა, არამედ ინსტიტუტებზეა დამოკიდებული და დემოკრატიული სახელმწიფოა. რაც შეეხება ქვეყნის ნატოში გაწევრების საკითხს, ღრმად მწამს — შეიძლება ეს ვინმეს ძალიან შორული პერსპექტივა ჰგონია — მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ძალიან მალე, თავად ნატოს წევრი ქვეყნებისთვის საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესი კიდევ უფრო სასურველი გახდეს“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მედიანიუსი

რუსეთის ძალისხმევა წარსულში და, თუ არა ანალოგიური ძალისხმევა ამჟამინდელი რუსეთის მხრიდან მომავალში, ეს „სტრატეგიული მოკავშირე“ ისე წაგვართმევს ბათუმის ოლქს უკვე იურიდიულადაც (აბა, ფაქტიურად, ბათუმი და ნახევარი თბილისი ხომ ისედაც ოკუპირებული აქვს), და ისე მიაყოლებს აჭარის, სამცხე-ჯავახეთის და გურიის დიდ ნაწილს, რომ თითის განძრევის ნებასაც არ მოგვცემენ, გვეტყვიან: ყველაფერი კანონიერად, ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე ხდებაო, იმ ხელშეკრულების, რომელიც თქვენმა სახელოვანმა „დიპლომატმა“, გენშერ-ბუშის მეგობარმა შევარდნაძემ გააგრძელა ამ თხუტმეტიოდე წლის წინათო! რუსეთი კი, სადაც მილიონნახევარი ქართველი ცხოვრობს და, საიდანაც მეოთხედი საუკუნეა ფიზიკურ გადარჩენაში გვეხმარებიან (უცხოეთიდან გადმორიცხული ვალუტის ორი მესამედი, ანუ წელიწადში მილიარდ დოლარზე მეტი რუსეთიდან შემოდის), № 1 მტერი და საზიზღარი მეზობელია. არ ვიცი, საქმეში (ისტორიაში, პოლიტიკაში) ჩაუხედაობა უფრო სჭირთ ამ რუსოფობ ხალხს, თუ მხოლოდ ზიზღი ალაპარაკებთ!

ერთი რამ უდავოა — ამერიკაში მოფიქრებული ამ პროექტიდანაც (აბა, საქართველოში რომ არ მუშავდება არავითარი(!) პროექტი, ეს ბავშვმაც იცის), ისევე როგორც ადრე, კარგს, არაფერს არ უნდა ველოდოთ! ამაში, მეოთხედი საუკუნეა, განსაკუთრებით კი 2003 წლიდან (როდესაც დაიწყო ჩვენი თვალების კარგად ახელვა თუ დაფსება!) 100%-ით დავრწმუნდით — ხელისუფალთა ცვლას ზუსტად ისეთივე ძვრები მოაქვს, როგორც ამერიკის ელჩების ცვლას, ანუ არსებითად — არავითარი! და არც მომავალში მოიტანს, ამერიკაში ინსტრუქტაჟჩატარებული და პრეზიდენტობის კანდიდატად შერჩეული ადამიანი თავის სამშობლოს არაფერში არ გამოადგება!

ვფიქრობ, ახლა — 2015 წლის ნოემბერში, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, იგივე სურათი მეორდება, რაც 2011 წლის ოქტომბერში, როცა ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკაში — ბურჭულაძემაც „პარავოზის“ როლი უნდა შეასრულოს 2016 წლის არჩევნებში, ზუსტად ისე, როგორც ივანიშვილმა შეასრულა 2012 წელს — შეასრულა და მერე როგორ, ფრიადზე პლუსით, გაათრია რა ურეიტინგო და არაეროვნული პარტიები — „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ პარლამენტში, მარგველაშვილი კი — პრეზიდენტად! იმედია, ახლა მაინც არ „ჭამს“ „ძია სემის“ ამ ფანდს ქართველი საზოგადოება!

მაგრამ, **ხემ თქვა: „ცული რას დამაკლებდა, შიგ ჩემი გვარისა რომ არ ერიოსო“!** ასეა ჩვენი საქმეც! არ „ვჭამთ“ და ძალით გვაჭმევენ მთავრობა-პარლამენტ-სასამართლოებში მოკალათებული ჩვენი „თანამოძმეები“ — საკუთარ თავზე მორგებული საარჩევნო კანონმდებლობით, ადმინისტრაციული რესურსებით, ფინანსებით და თავდაცვის მინისტრის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ხმების დამთვლელი კომისიის დახმარებით!

კიდევ ბევრი „როგორ შეიძლება“ მაქვს სათქმელი, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება, სცენარი სტანდარტულია, ყველა სახელმწიფოსთვის ერთი ხელით დაწერილი, განსხვავება მხოლოდ შეფუთვაშია და — კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე ნიუანსებში, ეს არის და ეს! ამიტომ, ჩვენს გაჭირვებულ და დაჩმორებულ ყოფას ხელისუფლების უბრალო ცვლა არ უშველის — აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს „თეთრ მელად“ წოდებულ „მსოფლიო დონის დიპლომატ“ შევარდნაძეს დაგვინიშნავენ, „დემოკრატიის შუქურა“ პოლიგლოტ საკაშვილს, ჭეშმარიტ ქველმოქმედ და „გულწრფელად“ დაპირებების გამცემ მილიარდერ ივანიშვილს, სორბონაში ნამყოფ, საყდრისის დამანგრეველ ღარიბაშვილს, თუ მსოფლიო ბანს, ჯერ ეპითეტების არმქონე ბურჭულაძეს (დაუფიქრებლად პოლიტიკაში თავით გადაშვებულს ჯერ „ყველაფერი წინა აქვს“, რაც ნამდვილად არ მახარებს).

აუცილებელია პოლიტიკური კურსის კარდინალური შეცვლა, მაგრამ, კარდინალური არ ნიშნავს მაინცადამაინც 180 გრადუსით ან, თუნდაც, 90 გრადუსით, ანუ დასავლეთიდან ჩრდილოეთისკენ სრულ მიბრუნებას. იმდენი(!) გრადუსით და იმ(!) მხარეს უნდა მივტრიალდეთ, რამდენიც და რომელი მხარეც იქნება ქართველი ხალხის ინტერესებში! არაფერს ახალს არ ვამბობ, ეს აქსიომატური ჭეშმარიტებაა ნებისმიერი, სახელმწიფოზე მაფიქრალი ხელისუფლებისთვის.

ამასთან ერთად, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ 21 საუკუნის წინანდელი, იულიუს კეისრის ცნობილი **„გათიშე (დაყავი) და იბატონეს“** განხორციელების გზები დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთობ დაიხვეწა და მეცნიერულად დამუშავდა. ჩვენი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ქ-მა ნაირა გელაშვილმა დროის შესაფერისი და არანაკლებ ლაპიდარული გამოთქმა მოიფიქრა: **„გააღატაკე, გამოათაყვანე და იბატონე“!** უკეთესად ვერ გამოხატავ იმ პოლიტიკას, რომელსაც ამერიკა ატარებს მთელ მსოფლიოში!

ცხადია, ორ-სამ სიტყვაში შეუძლებელია სრულად ჩატიო ის მზაკვრული ხერხები, რასაც ამერიკა იყენებს მსოფლიოზე საბატონოდ, ამიტომ შევეცადე, ოდნავ უფრო გამეშალა ქ-ნი ნაირას სათქმელი პროზაულად: **„გააღატაკე, გამოათაყვანე, გადაამტერე (ადამიანები და ერები ერთმანეთს), გააუბედურე (გადატრიალებარევოლუციებით და გარედან სამხედრო ჩარევებით), გამოუზარდე სახელისუფლებო კადრები (მანქურთი „ასოების“ სახით) და იბატონე“!**

იაკობ ლეჟავა
30 ნოემბერი, 2015

საქმე 1-02-2015

არბიტრაჟის გადაწყვეტილება

17 ნოემბერი 2015 წ. **ქ. თბილისი**

მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „სამართალი"-ს არბიტრი: ვახტანგ ცხომელიძე (პ/ნ: 01010005258) ერთპიროვნულად

მოსარჩელე: შპს „დიდუბე პლაზა" (ს/კ: 205027781)

მოპასუხე: ფადი ასლი (პირადი: 01017042152)

საარბიტრაჟო სარჩელის განხილვის ადგილი: ქ. თბილისი, ვასილ ბარნოვის ქ. №8, ბინა №17.

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა: მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელი საიჯარო ქირის, კომუნალური ხარჯების და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების შესახებ.

არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვა გათვალისწინებულია: 2012 წლის 10 მაისის საიჯარო ხელშეკრულებით N10/05 DP/A.

აღნერილობითი ნაწილი

2015 წლის 16 ივლისს მუდმივმოქმედ არბიტრაჟ შპს „სამართალს" საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართა შპს „დიდუბე პლაზა"-მ, რომელმაც მოითხოვა ფადი ასლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საიჯარო ქირის, კომუნალური ხარჯების და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრება.

მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო სარჩელში მითითებული გარემოებების მიხედვით, 2012 წლის 10 მაისს ფადი ასლის იჯარით გადაეცა სასაწყობო ფართი - 60 m^2 ოდენობით. იჯარის ვადად განისაზღვრა 2012 წლის 15 მაისიდან 2013 წლის 15 მაისამდე პერიოდი. იჯარის ხელშეკრულების 1.4-ე პუნქტის თანახმად ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდა შემდგომ ერთი წლით, ესე იგი 2014 წლის 15 მაისამდე. მიუხედავად რამდენჯერმე წერილობითი და პრესის საშუალებებით შეტყობინებისა, ფადი ასლის დღემდე არ გადაუხდია დავალიანება და ასევე არ მოუკითხია თავისი ნივთები. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მოპასუხის დავალიანება შეადგენს 142,32 ლარს, 1200 აშშ დოლარს საიჯარო ქირის და კომუნალური ხარჯების ასანაზაღაურებლად და პირგასამტეხლოს სახით 0,25%-ს გადაუხდელ თანხაზე, რაც შეადგენს 548 აშშ დოლარს.მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს დღიური 150 ლარი ჯარიმა საიჯარო ფართის გადაცემის დაგვიანებისათვის იმ პერიოდზე, სანამ მოხდებოდა მისი კუთვნილი საიჯარო ფართის დაცლა და ახალ მოიჯარეზე გაქირავება, ხოლო აღნიშნული თანხა შეადგენს 6750 ლარს. მოსარჩელემ სულ მოითხოვა მოპასუხისათვის 6892 ლარის და 1748 აშშ დოლარის დაკისრება.

მოპასუხეს არბიტრაჟის დებულებით დადგენილ ვადაში გაეგზავნა საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის განკარგულება საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ და არბიტრის დანიშვნის შესახებ, ასევე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება და არბიტრაჟის უწყება. მოპასუხეს შესაგებელი არ წარმოუდგენია, მას არ მოუთხოვია საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით, არ მოუთხოვია არბიტრის აცილება და სადაოდ არ გაუხდია არბიტრაჟის კომპეტენცია.

სამოტივაციო ნაწილი

არბიტრაჟმა შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, შეაფასა საარბიტრაჟო სარჩელის საფუძვლები და თვლის, რომ შპს „დიდუბე პლაზა"-ს საარბიტრაჟო სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2012 წლის 10 მაისს შპს „დიდუბე პლაზა"-სა და ფადი ასლის შორის დადებული იქნა საიჯარო ხელშეკრულება N10/05 DP/A, რომლის მიხედვით მოსარჩელემ მოპასუხეს იჯარით გადასცა უძრავი ქონება მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, სტანისლავსკის №5-ში მდებარე შენობაში, მე-4 სართულზე სასაწყობო ფართი - 60 m^2. საიჯარო პერიოდი განისაზღვრა 2012 წლის 15 მაისიდან 2013 წლის 15 მაისამდე. ამავე ხელშეკრულების 1.4-ე პუნქტის თანახმად „საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება გაგრძელდება ერთი წლით, თუ იჯარის ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე რომელიმე მხარე წერილობითი ფორმით არ განაცხადებს უარს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე."

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მოპასუხისგან მოითხოვს, 2012 წლის 10 მაისს დადებული იჯარის ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, როგორც იჯარის თანხის, ასევე პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრებას. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მიერ 2015 წლის 29 ოქტომბერს წარდგენილ შუამდგომლობას თან ერთვის ფადი ასლის დავალიანების გაანგარიშება, რომლის ათვლა იწყება 2010 წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის 01 მაისის ჩათვლით. აღნიშნული გაანგარიშების მიხედვით, მოპასუხე ფადი ასლის კომუნალური გადასახადების გადახდის დავალიანება მოიცავს 11.11.2010 წლიდან 30.11.2011 წლამდე პერიოდს, რომელიც წარმოშობილია სხვა სამართალურთიერთობიდან, ხოლო არბიტრაჟი თანახმად „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტისა უფლებამოსილია და კომპეტენტურია განიხილოს მხარეთა შორის მხოლოდ 2012 წლის 10 მაისს დადებული საიჯარო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო საკითხები, რის გამოც არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხე ფადი ასლისთვის კომუნალური გადასახადების 142, 43 ლარის დაკისრების თაობაზე განუხილველად უნდა დარჩეს.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მოპასუხეს საიჯარო ქონების გადაცემის დღიდან (2012 წლის 15 მაისიდან) საიჯარო ქირა არ გადაუხდია, რის გამოც მოსარჩელე ითხოვს 2012 წლის 15 მაისიდან 2014 წლის 15 მაისის ჩათვლით საიჯარო ქირის დაკისრებას 1200 აშშ დოლარის ოდენობით. საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ:

ა) 10.05.2012 წლის საიჯარო ხელშეკრულებით N10/05 DP/A დასტურდება ის გარემოება, რომ საიჯარო ვადა მოიცავდა 2012 წლის 15 მაისიდან 2013 წლის 15 მაისამდე პერიოდს. ამავე ხელშეკრულების 1.4. პუნქტის თანახმად *„საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება გაგრძელდება შემდეგი ერთი წლით, თუ იჯარის ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს უარს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე."* შესაბამისად, არბიტრაჟი დადგენილად მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა გაგრძელდა 2014 წლის 15 მაისამდე.

ბ) 15.05.2012 წლის მიღება-ჩაბარების აქტი №02-ით დასტურდება ის გარემოება, რომ მოპასუხე ფადი ასლმა ჩაიბარა საიჯარო ფართი კარგ, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში.

საქმის მასალებში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოპასუხე ფადი ასლს გადახდილი აქვს საიჯარო ქირა.

ზემოთ აღნიშნული მტკიცებულებების შეფასების შედეგად არბიტრაჟი დადგენილად მიიჩნევს, რომ მოპასუხეს არ გადაუხდია ყოველთვიური საიჯარო გადასახადი. *სკ-ის 581-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც."* ამავე კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით *„ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება."* აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ფადი ასლს უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ საიჯარო ქირის დავალიანების 1200 აშშ დოლარის ოდენობით გადახდა.

მოსარჩელე ითხოვს პირგასამტეხლოს სახით მოპასუხისათვის 548 აშშ დოლარის დაკისრებას. მოსარჩელის მიერ მითითებული გაანგარიშების მიხედვით 2012-2013 წლების წლიური საიჯარო გადასახადი 600 აშშ დოლარს შეადგენს, ვადაგადაცილებული პერიოდი მოიცავს 15 მაისი 2013 წელი - 16 ივლისი 2015 წელი (საარბიტრაჟო სარჩელის შეტანის თარიღი), სულ 790 კალენდარული დღე. შესაბამისად, პირგასამტეხლო შეადგენს 1185 აშშ დოლარს. 2013-2014 წლების წლიური საიჯარო გადასახადი 600 აშშ დოლარს შეადგენს. ვადაგადაცილებული პერიოდი იწყება 2014 წლის 15 მაისიდან 2015 წლის 16 ივლისის ჩათვლით, სულ 425 კალენდარული დღე. შესაბამისად, მოსარჩელის გაანგარიშებით დარიცხული პირგასამტეხლო შეადგენს 637,5 აშშ დოლარს. ჯამში პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 1822,5 აშშ დოლარს. მოსარჩელე ითხოვს პირგასამტეხლოს ნაწილის დაკისრებას 548 აშშ დოლარის ოდენობით.

არბიტრაჟი მოსარჩელის ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 10.05.2012 წლის იჯარის ხელშეკრულების 8.1-ე პუნქტის თანახმად „საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანებისათვის მოიჯარე პირგასამტეხლოს სახით უხდის მეიჯარეს ვადაგადაცილებული თანხის 0,25%-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის", ამავე ხელშეკრულების 3.2-ე პუნქტის მიხედვით „მოიჯარე ვალდებულია ყოველთვიურად, ყოველი თვის საწყის 7 (შვიდ) კალენდარულ დღეში დაფაროს მიმდინარე თვის იჯარის საფასური". შესაბამისად, მოპასუხის მიერ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების თარიღი განისაზღვრა ყოველი თვის 08 რიცხვამდე (შვიდი კალენდარული დღე). აღნიშნულ ვადაში იჯარის ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარეს ამავე თვის 08 რიცხვიდან დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0,25%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მოსარჩელემ მოითხოვა 2012-2013 წლის და 2013-2014 წლის საიჯარო დავალიანებებზე დარიცხული პირგასამტეხლოდან მხოლოდ ნაწილის დაკისრება.

არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილშიც მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულია და საფუძვლიანია. სკ-ის 417-ე მუხლის თანახმად *„პირგასამტეხლო - მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა - მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის."* ამავე კოდექსის 418-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით *„ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს მიყენებულ ზიანს."* აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ფადი ასლს უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოს პირგასამტეხლოს სახით 548 აშშ დოლარის გადახდა.

მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს 150 ლარის დაკისრებას საიჯარო ქონების ჩაუბარებლობის გამო. მოსარჩელის გაანგარიშებით მოპასუხეს 2014 წლის 15 მაისიდან უნდა დაეცალა იჯარის ფართი. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოპასუხისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლო შეადგენს 63750 ლარს, რომელიც მოიცავს შემდეგ პერიოდს - 2014 წლის 15 მაისიდან 2015 წლის 16 ივლისი (საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის თარიღი), სულ 425 კალენდარულ დღეს. მაგრამ აღნიშნული თანხის ნაცვლად მოსარჩელე ითხოვს მხოლოდ 6 750 ლარის დაკისრებას.

არბიტრაჟი მოსარჩელის ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოებებზე, კერძოდ:

ა) 10.05.2012 წლის საიჯარო ხელშეკრულების 5.3.5-ე პუნქტის თანახმად „წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში 3 კალენდარული დღის ვადაში საიჯარო ქონება დაუბრუნოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით მეიჯარეს". იმის გათვალისწინებით, რომ საიჯარო ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა 2014 წლის 14 მაისს, იჯარის საგნის გადაცემის სამ დღიანი ვადა უნდა აითვალოს 15 მაისიდან, შესაბამისად მოპასუხეს იჯარის საგანი მოსარჩელისათვის უნდა დაებრუნებინა 17 მაისის ჩათვლით.

ბ) 10.05.2012 წლის საიჯარო ხელშეკრულების 8.2-ე პუნქტის თანახმად „საიჯარო ფართის გადაცემის ან მიღების დაგვიანებისათვის მხარე მეორე მხარეს უხდის ჯარიმის სახით ყოველ გადაცილებულ დღეზე 150 ლარს". შესაბამისად, პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა დაიწყოს არა 2014 წლის 15 მაისიდან, არამედ 2014 წლის 18 მაისიდან.

გ) მოსარჩელე თავის 2015 წლის 29 ოქტომბრის გაანგარიშებაში აღნიშნავს, რომ 2014 წლის 01 ივლისს საიჯარო ქონება გააქირავეს სხვა პირზე. შესაბამისად, არბიტრაჟი დადასტურებულად მიიჩნევს, რომ 2014 წლის 01 ივლისს მხარეთა შორის შეწყდა საიჯარო ქონების ხელშეკრულების 5.3.5-ე პუნქტით გათვალისწინებული წესით იჯარის საგნის მეიჯარისათვის გადაცემის ვალდებულება, რის გამოც არბიტრაჟი უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საიჯარო ქონების გადაცემის წესის და პირობების დარღვევა უნდა მოიცავდეს შემდეგ პერიოდს - 2014 წლის 15 მაისიდან 2015 წლის 16 ივლისის ჩათვლით. არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვა მოიცავს შემდეგ პერიოდს 2014 წლის 18 მაისიდან ამავე წლის 30 ივნისის ჩათვლით.

არბიტრაჟს მიაჩნია, რომ სკ-ის 416-ე მუხლის თანახმად *„მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია."* ამავე კოდექსის 418-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით *„ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს."* არბიტრაჟს მიაჩნია, რომ პირგასამტეხლო თავისი არსით წარმოადგენს ე.წოდებული „მინიმალური ზიანს", რასაც მხარეები ურთიერთშეთანხმებით ვალდებულების დარღვევის შემთხვევისათვის აწესებენ. პირგასამტეხლოს ფუნქცია ვალდებულების დარღვევის პრევენციასა და სავარაუდო მინიმალური ზიანის ანაზღაურებაში მდგომარეობს. პირგასამტეხლოს ოდენობა შეიძლება აღემატებოდეს მინიმალურ ზიანს, იყოს მაღალი ან შეუსაბამოდ მაღალი, რის გამოც სკ-ის 420-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას, თუმცა სკ-ის 420-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე სასამართლო (არბიტრაჟი) პირგასამტეხლოს მართლზომიერებისა და ლეგიტიმურობის შეფასებას იწყებს მხოლოდ მხარეთა მიერ შეჯიბრებითობის ფარგლებში პირგასამტეხლოს შემცირების შესაბამისი მოთხოვნის და მტკიცებულებების წარდგენის პირობებში. იმ შემთხვევაში, თუ მხარე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას არ მოითხოვს არბიტრაჟი თავისი ინიციატივით, შესაბამისი პროცესუალურად ნამდვილი შეცილების უფლების გარეშე, პირგასამტეხლოს ვერ შეამცირებს, თუნდაც იგი შეუსაბამოდ მაღალი იყოს. არბიტრაჟს მიაჩნია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე მხარემ უნდა ამტკიცოს, თუ რატომ არის პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, აღნიშნულზე მიუთითებს სკ-ის 420-ე მუხლი, რომლის მიხედვით - სასამართლოს (არბიტრაჟს) შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. აღსანიშნავია, რომ მოპასუხე ფადი ასლს არ გაუხდია სადაოდ სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს (ჯარიმის) დაკისრების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ფადი ასლს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 6600 ლარის გადახდა.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „სამართალი"-ს დებულების 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად „თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, იმ პირის მიერ გაღებული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდას, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არბიტრაჟი აკისრებს მეორე მხარეს მხოლოდ მოგებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე".

სარეზოლუციო ნაწილი

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟმა იხელმძღვანელა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „სამართალი"-ს დებულების მე-8, 21-ე, 39-ე, 48-ე და 51-ე მუხლებით

დაადგინა

1. შპს „დიდუბე პლაზა"-ს საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

1.1. შპს „დიდუბე პლაზა"-ს სასარჩელო მოთხოვნა კომუნალური გადასახადების 142,32 ლარის ოდენობით ფადი ასლისთვის დაკისრების თაობაზე განუხილველად დარჩეს.

1.2. ფადი ასლს დაეკისროს შპს „დიდუბე პლაზა"-ს სასარგებლოდ საიჯარო ქირის დავალიანების 1200 (ერთიათას ორასი) აშშ დოლარის გადახდა.

1.3. ფადი ასლს დაეკისროს შპს „დიდუბე პლაზა"-ს სასარგებლოდ პირგასამტეხლოს 548 (ხუთასორმოცდარვა) აშშ დოლარის გადახდა.

1.4. ფადი ასლს დაეკისროს შპს „დიდუბე პლაზა"-ს სასარგებლოდ პირგასამტეხლოს 6 600 (ექვსიათას ექვსასი) ლარის გადახდა.

1.5. ფადი ასლს დაეკისროს შპს „დიდუბე პლაზა"-ს სასარგებლოდ საარბიტრაჟო მოსაკრებლის 500 (ხუთასი) ლარის გადახდა.

2. არბიტრაჟის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის არბიტრის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

არბიტრი ვახტანგ ცხომელიძე

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი (SLRP II)
კრედიტის №5078-GE, სესხი #8143–GE

პროექტის №P122204
დავალების სახელწოდება: ხარჯთაღმრიცხველი

კონტრაქტი/ RFP # SLRPII/CS/ICS-04
საიდენტიფიკაციო SLRPII PP, პუნქტი No. 36.1

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის** განსახორციელებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **ხარჯთაღმრიცხველი.**

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიას (CV), კვალიფიკაციას და გამოცდილებას, რომ დადასტურდეს კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა შესასრულებელ დავალებასთან.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში.

კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:

- კვალიფიცირებული პროფესიონალი ინჟინერი სულ მცირე 10 წლის გამოცდილებით, მათ შორის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება ერთეული ფასების გაანგარიშებაში;
- ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა;
- ინგლისურ ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად;

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ–ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 18 დეკემბრის 17:00 საათისა**.

სახელი და გვარი: ვახტანგ რაზმაძე

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia
Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)
Credit No. 5078-GE; **Loan No.**8143-GE
Project No. P122204
Assignment Title: Cost Estimator
Contract/RFP No: SLRPII/CS/ICS-04
Reference No. SLRPII PP, Item No. 36.1

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Second Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **Cost Estimator.**

The estimated duration of assignment is 12 months.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

The Cost Estimator will be selected under "Individual Consulting Services" selection method for a time-based contract, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Required Qualification of the Consultant:

- Qualified professional engineer with at least 10 years of experience, including at least 5 year experience in calculation of unit rates;
- Knowledge of Georgian language is compulsory;
- Knowledge of English language will be a plus;

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, **December 18, 2015, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

განცხადება

2016 წლის 26 იანვარს, 3 საათზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – თამარ მეფის ქუჩა №1 გაიმართება ქვიშარის ასფალტ-ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვიშარის ტერიტორიაზე არსებული ასფალტ-ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლას წარმადობით 21000 ტ/წელ.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა– თამარ მეფის ქუჩა №1;
- შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 44 39.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- როსტომ ბერაძე ტელ: 599244937 E-mail: ambrolaurisavtogza10@gmail.com
- ვახტანგ გვახარია ტელ: 59950433; E-mail: v.gvakharia@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლია განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს "ამბროლაურის ავტოგზა №10"-ის ადმინისტრაცია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს მეცნიერების ისტორიის დარგში საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისათვის.

გათვალისწინებულია ფულადი ჯილდო პირველი ადგილისათვის – 1200 ლარი;
მეორე ადგილისათვის (2 ადგილი) – 800 ლარი თითოეულზე;
მესამე ადგილისათვის (2 ადგილი) – 600 ლარი თითოეულზე.

საკონკურსოდ მიიღება მეცნიერების ისტორიის დარგში გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული.

ფულადი ჯილდო მიეცემა ავტორს (ავტორებს) აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილე პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი 2 ცალად;

ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტებას;

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები; ძირითად სამეცნიერო შრომათა ნუსხა).

მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს 2015 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით, სამუშაო დღეებში, 11- დან 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0108, თბილისი, რუსთაველის გამზ., № 52, ოთახი 312. საკონტაქტო ტელ. 2 93 29 86.

◎ ალიან-ჩალიანი

მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაცია აიკრძალება

მთავრობა, საგზაო ტრანსპორტის პოლიტიკის, უსაფრთხო საგზაო მოძრაობის და ეკოლოგიური მდგომარეობის ოპტიმიზაციის მიზნით, პარლამენტს კანონში ცვლილებების პროექტს წარუდგენს.

მთავრობის ინიციატივით, მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაცია აიკრძალება. ცვლილებების ამოქმედების კონკრეტულ თარიღზე მთავრობა სხდომაზე შეთანხმდება.

შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის განმარტებით, მარჯვენასაჭიან ავტომანქანებზე დამატებითი გადასახადებისა და ახალი რეგულაციების შემოღება არ იგეგმება. ცვლილებები არც მარჯვენასაჭიანი ავტომანქანებით გადაადგილების აკრძალვას გულისხმობს. მფლობელებზე, რომლებსაც მსგავსი ავტომანქანები უკვე რეგისტრირებული აქვთ, შეზღუდვა არ გავრცელდება. აკრძალვა ასევე არ ეხება ტრანზიტს, დროებითი შემოყვანის რეჟიმს, რეექსპორტსა და იმპორტს.

„სტატისტიკა საკმაოდ საგანგაშოა. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების იმპორტი 50%-ს გაუტოლდა. ასეთი რამ მსოფლიოს ორ ქვეყანაშია, სადაც მარცხენასაჭიანი ავტომანქანებით მოძრაობაა და ეს ქვეყნებია – ავღანეთი და ბირმა. მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების მაქსიმალური დასაშვები პროცენტული რაოდენობა ყველა ევროპულ ქვეყანაში 10%-ია. 2013 წელს დარეგისტრირდა 71 182 მარცხენასაჭიანი, ხოლო – 12 542 მარჯვენასაჭიანი ავტომანქანა; 2014 წელს – 67 515 მარცხენასაჭიანი, 34 000 მარჯვენასაჭიანი; ხოლო 2015 – 47 672 მარცხენასაჭიანი და 32 025 მარჯვენასაჭიანი. თუ ეს დინამიკა გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში მოძრაობის მიმართულების ცვლილება დაგვჭირდება", – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

მთავრობის მეთაური შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივას დროულად და მისასალმებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მსგავს საკითხებზე საჭიროა დროული რეაგირება.

მედიანიუსი

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 /032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით. გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს გამომუშავებული ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის. დ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დროს არ უნდა მოხდეს ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. ოჩხომურისა და მისი მარცხენა უსახელო შენაკადის (მშრალი ხევი) კალაპოტში. ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება წიაღისეულის მომპოვებელ ლიცენზიანტს. ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაფიჩხოვის ტერიტორია, სოფ. ნაფიჩხოვის ოიხა-თიხამიწის (აგრონომიული ნედლეული) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 155 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაფიჩხოვის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზუს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 4 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 იანვარს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 4 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 იანვარს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	15 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში წიაღისეულის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. დ) ლიცენზიის მფლობელმა მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას პერიოდულად განახორციელოს მდინარის კალაპოტის მონიტორინგი, ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება წიაღისეულის მომპოვებელ ლიცენზიანტს. ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 15	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოუებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქციონირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცილით ან მის გარეშე.

		დ) აღრიცხვის კვანძი უნდა მეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოფს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი პერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოფს წყაროს დაკაპტაჟება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკი, (მიწისქვეშა მტკნარი წყალი სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 170 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკი
8	აუქციონის საწყისი ფასი	38 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	230 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 4 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 იანვარს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 4 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 იანვარს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან
		არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სა-აგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმა-ყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

	ობიექტი № 1	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია: ა) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა განახორციელოს არაუმეტეს 5 წლის ვადაში. არაუგვიანეს შესწავლის ვადის ამოწურვისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დასამტკიცებლად შესაბამის ორგანოში წარადგინოს შესწავლის მასალები; ბ) მარაგების დამტკიცებისა და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესწავლის, შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); გ) მარაგების დამტკიცების შემდეგ ლიცენზიატი ვალდებულია, ვადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიმსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ და-ფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისა და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება; დ) თუ სალიცენზიო ფართობზე დამტკიცებული მარაგების მიხედვით გამოთვლილი ფასი ნაკლებია აუქციონზე დაფიქსირებულ საბოლოო ფასზე, ამ შემთხვევაში მეტობით გადახდილი თანხა არ ექვემდებარება

		უკან დაბრუნებას; ე) ძებნა-მიებითი სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით 5 წლის ვადაში დახარჯოს არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი; ვ) უზრუნველყოს შესწავლის პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის (არანაკლებ 50 ადამიანის) დასაქმება; ზ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან, შესწავლის პერიოდის განმავლობაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, მის მიერ დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე განახორციელოს გარემოსდაცვითი ღონისძიებები 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის თანხის ფარგლებში; თ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში სოფელ სორში ააშენოს საბავშვო ბაღი, მუნიციპალიტეტის მიერ მითითებულ ადგილზე და პირობებით; ი) შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს კარგი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც მოიცავს „ე" პუნქტში მითითებული თანხის ხარჯვის ანგარიშს; კ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობში მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას; ლ) მოქალაქეებს არ შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე ვადაადგილების უფლება; მ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას; ნ) სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს საბადოს კომპლექსური ათვისება; ო) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს „ე" პუნქტით გათვალისწინებულ, შესწავლის პერიოდში განსახორციელებელი 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობის თანხის ხარჯვის გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა მოიცავდეს დეტალურ და დასაბუთებულ ინფორმაციას შესწავლის პერიოდში ჩასატარებელი სამუშაოებისა (ღონისძიებების) და ამ სამუშაოებისათვის გასაწევი ხარჯების შესახებ, მათ შორის, კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ვადის ხანგრძლივობის შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაცია გახდება ლიცენზიის ფარგლებში სავალდებულოდ შესასრულებელი პირობა და მისი შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ზომებს; პ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს

		სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან; ქ) სალიცენზიო ობიექტზე სამუშაოების ჩატარება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობისთვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით; რ) ლიცენზიის მფლობელმა სამუშაოების ჩატარების დროს არ დაუშვას სამთო გამონამუშევრების ჩაყრა მდ. სონტაროულას კალაპოტში; ს) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. გადამშის მიმდებარე ტერიტორია, სასარგებლო წიაღისეულის (მადანგამოვლინება) შესწავლა-მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. გადამშის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	35 500 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3 550 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	17 950 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 4 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 იანვარს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 4 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 იანვარს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია: ა) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა განახორციელოს არა უმეტეს 5 წლის ვადაში, არაუგვიანეს შესწავლის ვადის ამოწურვისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დასამტკიცებლად შესაბამის ორგანოში წარადგინოს შესწავლის მასალები; ბ) მარაგების დამტკიცებისა და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდგომ, შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); გ) მარაგების დამტკიცების შემდეგ ლიცენზიატი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ და-ფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისა და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება; დ) თუ სალიცენზიო ფართობზე დამტკიცებული მარაგების მიხედვით გამოთვლილი ფასი ნაკლებია აუქციონზე დაფიქსირებულ საბოლოო ფასზე, ამ შემთხვევაში მეტობით გადახდილი თანხა არ ექვემდებარება
		უკან დაბრუნებას; ე) ძებნა-ძიებითი სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით, 5 წლის ვადაში დახარჯოს არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი; ვ) უზრუნველყოს შესწავლის პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის (არანაკლებ 50 ადამიანის) დასაქმება; ზ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან, შესწავლის პერიოდში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, მის მიერ დადგენილი ვადისა და მოთხოვნის გათვალისწინებით, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე განახორციელოს გარემოსდაცვითი ღონისძიებები 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის თანხის ფარგლებში; თ) შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს კარგი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც მოიცავს „ე“ პუნქტში მითითებული თანხის ხარჯვის ანგარიშს; ი) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობში მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას; კ) მოქალაქეებს არ შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება; ლ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას; მ) სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს საბადოს კომპლექსური ათვისება; ნ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ, შესწავლის პერიოდში განსახორციელებელი 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობის თანხის ხარჯვის გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა მოიცავდეს დეტალურ და დასაბუთებულ ინფორმაციას შესწავლის პერიოდში ჩასატარებელი სამუშაოებისა (ღონისძიებების) და ამ სამუშაოებისათვის გასაწევი ხარჯების შესახებ, მათ შორის, კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ვადის ხანგრძლივობის შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაცია გახდება ლიცენზიის ფარგლებში სავალდებულოდ შესასრულებელი პირობა და მისი შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ზომებს; ო) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან;
		პ) სალიცენზიო ობიექტზე სამუშაოების ჩატარება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობისთვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით; ჟ) ლიცენზიის მფლობელმა სამუშაოების ჩატარების დროს არ დაუშვას სამთო ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. ხარამისა და მდ. თეთნაშერას კალაპოტებში; რ) „ხარიხრას“ მეინვარის სიახლოვის გამო, დაუშვებელია სალიცენზიო ობიექტზე ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება. ს) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. სგურიშის მიმდებარე ტერიტორია, სასარგებლო წიაღისეულის (მადანგამოვლინება) შესწავლა-მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. სგურიშის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	279 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	27 900 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	139 700 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 4 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 იანვარს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 4 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 4 იანვარს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ ლეგიონერი

დუდა სანაძე 21 ქულით „სან დიეგოს“ მორიგი გამარჯვებისკენ გაუძღვა

დუდა სანაძის კიდევ ერთი შედეგიანი მატჩი:. ამერიკის სტუდენტური ლიგის მორიგ არასაკონფერენციო შეხვედრაში ქართველმა უკანასკნელმა 21 ქულა მიითვალა და „სან დიეგოს“ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოაპოვებინა. კალიფორნიელებმა „ბეტესდას“ უმასპინძლეს და დამაჯერებელი სხვაობით — 71:56 დაამარცხეს.

არადა, პირველი ტაიმის შემდეგ „სან დიეგო“ აგებდა. ქართველი ლეგიონერის შედეგიანობის წყალობით გუნდმა მეორე ნახევარში მეტოქე ჩამოიტოვა და საბოლოო წარმატებასაც მიაღწია. სანაძე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. მის ანგარიშზე 21 ქულა, 3 ჩაჭრა, 2 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება გახლდათ. დუდამ 30 წუთი ითამაშა და 10-დან 7 ორქულიანი, 8-დან 1 სამიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. თამაშიდან ცხრავე სროლა ააცილა სანაძის თანამებრძოლმა მარკუს ჰარისმა, თუმცა, ქართველის შედეგიანობამ სამხრეთული გუნდის ეს ხარვეზი გადაფარა.

არასაკონფერენციო 7 მატჩიდან „სან დიეგოს“ 2 მოგება აქვს. „ვესტ ქოუსთის“ კონფერენციის ჩემპიონატი 1 იანვარს „პასიფიკთან“ მატჩით დაიწყება, მანამდე კი სანაძის გუნდი კიდევ 4 შეხვედრას გამართავს. მომდევნო მატჩი „სან დიეგო ტორეროს“ 7 დეკემბერს თანაქალაქელთა „სან დიეგო სტეიტთან“ ელის.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ვითარება

„მერსედესმა“ ჰამილტონი და როსბერგი გააფრთხილა

„მერსედესის“ გუნდის შეფმა ტოტო ვოლფმა გააფრთხილა თავისი პილოტები ლუის ჰამილტონი და ნიკო როსბერგი, რომ მათ შორის დაძაბული ურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაში რომელიმე მათგანს გუნდის დატოვება მოუწევს. ყოფილ მეგობრებს შორის ურთიერთობა ბოლო ორ

სეზონში დაიძაბა, როცა ისინი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოდნენ. მათი ურთიერთობის ერთ-ერთი გამორჩეული მომენტი იყო ოსტინის რბოლის დასაწყისი, რომლის დროსაც ჰამილტონმა თანაგუნდელი მოსახვევში ტრასის მიღმა გარიყა.

ვოლფი ამბობს, რომ თუ პილოტებს შორის უთანხმოება გაგრძელდება, ის იძულებული გახდება რომელიმეს შეცვლაზე იფიქროს. „ჩვენ თავიდანვე გადავწყვიტეთ გუნდში ორი განსხვავებული პილოტის მოწვევა, რაც, ჩვენი აზრით, სწრაფ პროგრესში დაგვეხმარებოდა. სამი წლის წინათ ეს საფუძვლიანი არჩევანი იყო. სამომავლოდ უნდა გადავწყვიტოთ, არის თუ არა ეს წყვილი გუნდისთვის ოპტიმალური, შეესაბამება თუ არა ის ჩვენს სულისკვეთებას და ფილოსოფიას. პილოტებთან დაკავშირებული ვერდიქტის გამოტანისას სწორედ ამას გავითვალისწინებთ“, — ამბობს ვოლფი.

აღსანიშნავია, რომ როსბერგის კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს დასრულდება, ჰამილტონმა კი თავისი კონტრაქტი ახლახანს გააგრძელა და ის სამქიმიანებთან დარჩენის საშუალებას 2018 წლის სეზონის ბოლომდე მისცემს. შესაბამისად, თუ გერმანულ გუნდს პილოტის შეცვლის სურვილი გაუჩნდება, პირველ რიგში სწორედ როსბერგს გაუშვებს, ოღონდ ამაზე ლაპარაკისგან ვოლფი თავს იკავებს.

„დახურულ კარს მიღმა ბევრი რამ ხდება. ვგრძნობ, რომ ჩვენი გუნდი ასეთი ძლიერი ადრე არასდროს ყოფილა, მაგრამ მრბოლებს შორის რთული ურთიერთობა ჩვენი ყველაზე დიდი სისუსტეა, რაც არაა კარგი. თუ მკითხავთ, რა არის გუნდის სიძლიერის და სისუსტის ნიშანი, ვიტყვი, რომ სიძლიერეს მისი წევრების ხასიათი და პიროვნული თვისებები აყალიბებს, სისუსტე კი ხან მრბოლთა შორის ურთიერთობის დინამიზმია, ხან კი მრბოლებსა და გუნდს შორის ურთიერთობა“, — ყვება ვოლფი.

გასულ სეზონში „მერსედესი“ ყოველ გამარჯვებას რბოლის შემდეგ გუნდური ფოტოს გადაღებით აღნიშნავდა და ამ ფოტოებზე მხოლოდ ერთი, გამარჯვებული პილოტის სახეზეა ღიმილი, დამარცხებულს კი სახე ჩამოსტირის. ვოლფი ამბობს, რომ ეს განწყობა გუნდსაც გადაედება და ეს ისაა, რაც აუცილებლად უნდა შეწყდეს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

ბარ რაფაელი „ბარსელონას“ ამოისვირინგებს

ებრაული ფესვების მქონე მოდელთა-მოდელსა და ლამაზთა შორის გამორჩეულს ბარ რაფაელს ალბათ უკვე იცით, რომ კატალონიური საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“ აქვს გულში ჩავარდნილი და თავისი ეს „ტრფობა წამებულისა“ უკვე არაერთხელ დაუმტკიცა სრულიად საფეხბურთო სამყაროს.

ამასწინათ კი საერთოდ აათრთოლა მისი ისედაც მრავალრიცხოვანი მოტრფიალენი და სულში ჩამწვდომი ხმით განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს სეპარატისტული რეგიონის გუნდის დიადი ლოგო ერთობ უხერხულ ადგილზე ამოისვირინგოს, რადგან „ბარსელონა“ სწორედაც რომ მისი სულის პიკანტური მხარეა.

აბა რა! მართლაც რა ჯობია იმას, როდესაც კაცი აისრულებ დიდი ხნის ოცნებას, შეძლებ და თანაყოფაზე დაითანხმებ ამ შესანიშნავ ქალს და როდესაც „საქმე-საქმეზე“ მიდგება და ტანსაცმლის შემოძარცვის ჟამი მოატანს, შენს წინ გადაიშლება დიდი საფეხბურთო კლუბი თავისი წარსულითა და აწმყოთი, ბრძოლითა და კაეშნით. და ამ დროს სექსი ვის რა ოხრად უნდა?...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ საფეხბურთო მოზაიკა

„პსჟ“ იბრაჰიმოვიჩს შეელევა და რონალდუს გაიფორმებს

ფრანგულ გრანდ„პსჟ“-ს მომავალი სეზონისთვის ამბიციური გეგმები აქვს და ამისათვის საკადრო მიმართულებით გარკვეულ ცვლილებებს გეგმავს.

მაგალითისთვის, 34 წლის შვედ ფორვარდ ზლატან იბრაჰიმოვიჩს კლუბთან მოქმედი კონტრაქტის ვადა გაისად ზაფხულში ეწურება და მისი კიდევ ერთი წლით გახანგრძლივება სურს, თუმცა, Le Parisien-ის ცნობით, პარიზელებმა შესაძლოა მასზე უარი თქვან. მართალია, ამის შესახებ კლუბში ოფიციალურად ჯერ არავინ საუბრობს, მაგრამ ჟურნალისტები ირწმუნებიან, ასეთ შემთხვევაში ზლატანი „მილანში“ დაბრუნდებაო.

იბრაჰიმოვიჩის ნაცვლად „პსჟ“ მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი ვარსკვლავის კრიშტიანუ რონალდუს მიწვევას გეგმავს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ კლუბის პრეზიდენტი ნასერ ელ-ჰეილაიფი ამ ტრანსფერთან დაკავშირებით პირადად აწარმოებს მოლაპარაკებას. მას არც ფეხბურთელის მაღალი ანაზღაურება აშინებს, მით უმეტეს, რომ ზლატანის წასვლის შემთხვევაში საკმაოდ სოლიდური თანხა გამოთავისუფლდება.

მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 17 მატჩში იბრაჰიმოვიჩმა 11 გოლი გაიტანა და 5 შედეგიანი გადაცემა შეასრულა, ხოლო რონალდუს ანგარიშზე 20 თამაშში 17 გოლი და ოთხი გადაცემაა.

„რეალს“ „სამეფო თასიდან“ მოკვეთა ემუქრება

მადრიდის „რეალმა“ ესპანეთის თასის მატჩში „კადისი“ სტუმრად 3:1 დაამარცხა და განმეორებითი შეხვედრის წინ შემდეგ ეტაპზე გასვლა პრაქტიკულად გაინაღდა, მაგრამ არსებობს საფრთხე, რომ „სამეფო თასიდან“ მოკვეთონ.

იქაური პრესის ცნობით, ამის მიზეზი შესაძლოა რუსი ნახევარმცველი დენის ჩერიშევი გახდეს, რომელმაც განვლილი შეხვედრის დებიუტში ანგარიში გახსნა. თუმცა, 24 წლის ფეხბურთელს ამ თამაშში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდა ესპანეთის თასის გასული სეზონის გათამაშებაში მიღებული სამი ყვითელი ბარათის გამო, როდესაც ის „ვილიარეალში“ გამოდიოდა.

მადრიდულ კლუბში ეს დეტალი გამორჩათ და ახლა „რეალს“ რეგლამენტის თანახმად ესპანეთის თასიდან მოკვეთა ემუქრება.

ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ ესპანელმა ტელეწამყვანებმა მატჩის მსვლელობა პრატიკულად დაივიწყეს და მხოლოდ ჩერიშევის დისკვალიფიკაციაზე საუბრობდნენ. ისინი ვერ ხვდებოდნენ, როგორ შეიძლებოდა „რეალს“ ასეთი შეცდომა დაეშვა და შესვენებისას, როდესაც ფეხბურთელები გასახდელში გადიოდნენ, ტელეკორესპონდენტმა დენისს პირდაპირ ეთერში ჰკითხა — იცოდა თუ არა, რომ წინა სეზონში მიღებული ყვითელი ბარათების გამო მას მოედანზე გასვლის უფლება არ ჰქონდა. ფეხბურთელმა კითხვა უპასუხოდ დატოვა.

ჩერიშევი მადრიდის „რეალის“ მეორე გუნდში 2010 წლიდან ირიცხება და იქ სამი სეზონი გაატარა, გასული ორი სეზონი კი განათხოვრების წესით „სევილიასა“ და „ვილიარეალში“ გაატარა. მიმდინარე სეზონის წინ „სამეფო კლუბმა“ რუსი მოთამაშე დაიბრუნა, „კადისთან“ ის პირველად მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში და მე-3 წუთზე გოლი გაიტანა, მაგრამ ახლა თამაშის შედეგი უნდა გაუქმდეს და „რეალი“ დაისაჯოს.

რობენი „ბაიერნში“ ბედნიერია

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ შემტევი არიენ რობენი გერმანულ გრანდში ყოფნით ბედნიერია და წასვლას არსად აპირებს.

ბრიტანული მედია გასული სეზონიდან მოყოლებული აქტიურად საუბრობს ჰოლანდიელის „მანჩესტერ იუნაიტედში“ შესაძლო გადასვლის შესახებ.

„არასდროს მიფიქრია ტრანსფერის შესახებ. მე და ჩემი ოჯახი მიუნხენში ყოფნით ბედნიერები ვართ. კლუბთან კონტრაქტის ვადა 2017 წელს მეწურება. ამ დროისთვის ყველაფერი კარგადაა და ვიმედოვნებ, მომავალშიც ასე გაგრძელდება.“ — ციტირებს sky sports-ი რობენის სიტყვებს.

მიმდინარე სეზონში რობენმა ტრავმის გამო 10 მატჩი გამოტოვა, 12 ჩატარებულ შეხვედრაში კი 5 გოლის გატანა და 2 საგოლე გადაცემის შესრულება მოასწრო.

ბენზემამ დუმილი დაარღვია

საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელმა ქარიმ ბენზემამ მატიე ვალბუენას შანტაჟის საქმესთან დაკავშირებით ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა.

„სამეფო კლუბის“ ფეხბურთელმა ფრანგულ სამაუწყებლო კომპანია TFI-ს ინტერვიუს მისცა, სადაც განაცხადა, რომ ვალბუენა მისი მეგობარია და გახმაურებულ შემთხვევაში მხოლოდ იხუმრა.

ქარიმი ვალბუენას საქმესთან დაკავშირებით დაკავებული გახლდათ და დაკითხვის შემდეგ გაანთავისუფლეს.

გიორგი ზოთაძე

◎ ლეგენდა

აქაც ფედერერი...

ATP-ის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 34 წლის როჯერ ფედერერი ყველაზე ასაკოვანი ჩოგბურთელია, ვინც სეზონის მესამე ადგილზე დასრულება შეძლო.

როჯერმა მეთოთხმეტედ მოახერხა 10 საუკეთესო ჩოგბურთელს შორის სეზონის დასრულება. ამ მაჩვენებლით შვეიცარიელს მხოლოდ ჯიმი კონორსი და ანდრე აგასი უსწრებენ, რომლებმაც რჩეულთა შორის სეზონი 16-ჯერ დაასრულეს.

საუკეთესო ათეულში 5 ჩოგბურთელია, რომლებმაც 30 წელს გადააბიჯეს: ესენი არიან: როჯერ ფედერერი, დავიდ ფერერი, ჟო-ვილფრედ ცონგა, სტანისლას ვავრინკა და ტომაშ ბერდიხი. ასეთი შემთხვევა ბოლოს ATP-ის რეიტინგში 1974 წელს მოხდა.

კობა კობახიძე

◎ ვაი ჩვენს პატრონს!

შალიკო ახალ ამპლუაში

აუჰ, რაოდენ დიდი პოლიტიკური ძვრები გველოდება!..

შალიკო ნათელაშვილმა ახალ ხელობას მიჰყო ხელი — იგი საქართველოს მომავალ პოლიტიკოსებს უზრდის.



ახლახან შეხვდა ნორჩ პოლიტიკოსებს. შეხვდა კი არა, ინსტრუქტაჟი ჩაუტარა. ჯერ ვრცელი ლექცია წაუკითხა, არ ეხერხება, ენა არ უჭრის, ცოდნა და გამოცდილება აკლია თუ რა?

მერე შეკითხვებზე გასცა ამომწურავი პასუხები. ასწავლა, როგორ უნდა შექმნა სიცრუის პარტია. შალვა ფილოსოფოსია, ჰოდა, ერისა და ბერის გაცურების ფილოსოფია აქვს შესწავლილი.

შემოიკრიბო თანამოაზრენი, ხალხი დაარწმუნო, რომ სამშობლოსთვის გული შეგტკივა, აგინო, ლანძღო, თათხო, ცილი დასწამო ოპონენტებს...

თანამოაზრეები თუ მიგიხვდნენ, რომ არაკაცი ხარ, ეგ არაფერი, ისინი წავლენ, სხვანი, თუნდაც გუგავასნაირნი შემოგრჩებიან!

ამ ეტაპზე მთავარია აგინო, ლანძღო ბიძინა ივანიშვილი.

აგინო ხალხის მოყვანილი მთავრობა, ხელისუფლების მომდურავს რა გამოლევს.

ვაშა, საქართველოვ, იმედია, ახლო მომავალში ათობით შალვა ნათელაშვილი გეყოლება, რადგან შალვა უკვდავია, ყველა დროის, ყველა თავისუფლებასთან მებრძოლი.

არადა, რა დამავიწყებს ტელეეკრანიდან გოგო-ბიჭების გაბრწყინებულ სახეებს: ხუმრობა ხომ არ არის, შეხვდე უკვდავი პარტიის... (თანაც, შრომისა რომ ჰქვია), ლიდერს და მისგან მიიღო ბრძნული რჩევა-ინსტრუქცია.

ახლა ხომ დარწმუნდით, რომ საქართველოს დიდი პოლიტიკური ძვრები ელოდება: ჯერ ერთი შალიკო რა ამბებს ატრიალებს და ათი ხომ ააყვავებს სამყაროს!

გივი ჯაახუა

◎ წარსულის გამოძახილი

სიკვდილის შემდეგაც მოსვენება არა აქვთ...

ამჟამად სანკტ-პეტერბურგის პეტრეპავლეს ტაძარში მიმდინარეობს რუსეთის ბოლო იმპერატორის ნიკოლოზ II-ის მამის ალექსანდრე III-ის ნეშტის ამოღების სამუშაოები.

ამის მიზეზი „ეკატერინბურგის ნეშტების“ ნაღდობის დამადასტურებელ საიდენტიფიკაციო კვლევებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ნიკოლოზ II-ის ოჯახის დახვრეტის ადგილზეა ნაპოვნი და რომლებიც იმავე საყდარშია დაკრძალული. ექსპერტები ალექსანდრე III-ისა და ნიკოლოზ II-ის ნეშტების გენეტიკური იგივობის დამადასტურებელი სამუშაოს ჩატარებას გეგმავენ.

— ალექსანდრე III- ის საფლავს ქვის ფილა წლეულს, 3 ნოემბერს ახადეს, — აცხადებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქთან არსებული კულტურის საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი, ეგორიევის ეპისკოპოსი **ტიხონი.** — მანამდე მარმარილოს ფილები დაათვალიერეს და მათი დაზიანებები და უსწორმასწორო გადაბმები დააფიქსირეს. იმპერატორ ალექსანდრე III-ის საფლავი, შესაძლებელია, 1919-1921 წლების პერიოდში გაეძარცვათ, როცა საყდარი დაკეტილი იყო. ამის ინიციატორი კი, სავარაუდოდ, ლენინი უნდა ყოფილიყო, რომელსაც რომანოვების ოჯახის მიმართ უკიდურესი სიძულვილი პერსონიფიცირებული ხასიათისა იყო — მისი უფროსი ძმა სწორედ ალექსანდრე III-ზე თავდასხმის გამო ჩამოახრჩვეს.

ასე იყო ეს სინამდვილეში თუ არა, მოკლე დროში გახდება ცნობილი, როცა სპეციალისტები უშუალოდ იმპერატორ ალექსანდრე III-ის ნეშტის შესწავლას შეუდგებიან.

მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ეპისკოპოსმა ტიხონმა ასევე ისიც თქვა, რომ ბოლშევიკები სამეფო აკლდამების მარადიორობას არ თაკილობდნენ და ერთი თვითმხილველის მოგონება მოიშველია: „პეტრე I კარგი შენახული იყო და კუბოში ცოცხალივით იწვა. წითელარმიელმა კი, რომელიც სამარის გახსნაში ეხმარებოდა, საშინლად იყვირა და უკან გადავარდა: ალექსანდრე I-ის სამარხი ცარიელი იყო“.

გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, პეტრეპავლეს საყდარში ყველა სამუშაო გამჭვირვალობის რეჟიმში მიმდინარეობს, ვიდეოდაკვირვება 24 საათის განმავლობაში ხორციელდება.

Аргументы и факты

◎ ჩვენი ენა, ქართული

რანგირება თუ რანჟირება?

ამ ნაკვეთში განვიხილავთ **რანგირება** სიტყვას, ასე რომ მოეძალა ჩვენს მეტყველებას, განსაკუთრებით — ბოლო ხანებში. ეს უმართებულო ფორმა იმდენად ხშირად იხმარება, რომ მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა და ამიტომ ზოგიერთი საბუთისა და ნიმუშის მოშველიებით შევეცდებით ნათელვყოთ, რომ სწორია არა **„რანგირება“,** არამედ...

ა) „უცხო სიტყვათა ლექსიკონი: „**რანგ**-ი (ფრანგ. rang) — ხარისხი, თანრიგი, სპეციალური წოდებულება. მაგ., საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი, პირველი რანგის კაპიტანი, მეორე რანგის კრეისერი....

რანჟირ-ი (გერმ. Rangierung, ფრანგ. ranger ერთ რიგად დაწყობა) — (სამხ.) ჯარისკაცების დაწყობა მწკვრივში სიმაღლის მიხედვით“;

ბ) „ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია“: „რანგი ранг

რანგული, რანგისა ранговый: რ. კორელაცია ранговая корреляция

რანჟირება ранжирование

რანჟირებული ранжированный — აი ხელმოსაჭიდი, რომელიც საშულებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ „რანგირება“ კი არა, „რანჟირება“ უნდა იყოს.

მოგაწვდით ამ უდავოდ სწორი ფორმის ხმარების რამდენიმე მაგალითს: „ჰ) **რანჟირება** აბსოლუტური ჯამური ქულებით... ჰ') **რანჟირება** კოეფიციენტებით...“ („კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხ. 2); „დამტკიცდეს დანართით გათვალისწინებული „2005 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებგავლილი აბიტურიენტთა კოეფიციენტებით **რანჟირების** დოკუმენტი“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებიდან); „...გამარჯვების **რანჟირება** ეთნიკური და სახელმწიფოებრივი ნიშნით ღიმილის მომგვრელია“ (რ. საყვარელიძე, „სარკე“, 4-10.VIII.05); „...ამაყად ატარებენ **რანჟირებული** „დიპლომატების“ წოდებებს...“ („სრ“, 21.IX.05); „კვლევა ახდენს **რანჟირებას** მისდა მიხედვით, თუ რამდენად დადებითად ან უარყოფითად აფასებენ უცხოელი და ადგილობრივი ბიზნესმენები და ექსპერტები ამ ქვეყანაში კორუფციის გავრცელების დონეს“ (ინფორმაცია ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ (2007 წლის მარტი). სხვათა შორის, ასეთივე ლექსიკური ერთეული იხმარება რუსულშიც: „Индекс человеческого развития ООН за 2002 г., который **ранжировал** страны по уровню бедности и образованности, здоровья и другим показателям жизни населения..“ (ინტერნეტი).

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ უყოყმანოდ გამოვიყენოთ ეს ყოველმხრივ სწორი ფორმა — **რანჟირება, რანჟირებული.**

ოთარ კაპანაძე.

სულთათანა

ზურაბ ზალიკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ასოცირებული პროფესორი ზურაბ ოთარის ძე ზალიკაშვილი

ნაადრევად შეწყდა სტუდენტი ახალგაზრდობის ღირსეული აღმზრდელის, მაღალი ადამიანური თვისებების მატარებელი პიროვნების სიცოცხლე.

ზურაბ ზალიკაშვილი დაიბადა 1960 წლის 1 იანვარს ქ. თბილისში. 1977 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1982 წელს, სპეციალობით „წყალმომარაგება და კანალიზაცია“. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1982 წელს საქართველოს სახელმწიფო კომუნალური მშენებლობის საპროექტო ორგანიზაციაში, ინჟინრის თანამდებობაზე. 1983-1986 წლებში სწავლობდა მოსკოვის სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1986 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1987 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის კათედრაზე. იყო უფროსი მეცნიერ—თანამშრომელი, დოცენტი, ასოცირებული პროფესორი.

ბატონი ზურაბის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა მოიცავდა ჩამდინარე წყლების ტექნოლოგიური პროცესების და მათი ნაგებობების ექსპლუატაციის მართვისა და კონსტრუქციის სფეროს. იგი იყო 24 სამეცნიერო ნაშრომის, ერთი სახელმძღვანელოსა და ერთი გამოგონების ავტორი.

ზურაბ ზალიკაშვილი უშურველად გადასცემდა თავის მდიდარ პედაგოგიურ გამოცდილებას ახალგაზრდობას. იგი იყო ღრმად ერუდირებული მეცნიერი და პედაგოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

წავიდა ჩვენგან თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, სამაგალითო ქართული ოჯახის თავკაცი, ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ზურაბ ზალიკაშვილის სული.

ხსოვნა

ჯიმი სხირტლაძე

ჩვენმა თაობამ, საძმო-სამეგობრომ, ოჯახმა და თბილისი-ქალაქმა დიდი დანაკლისი განიცადეს — გარდაიცვალა ჯიმი სხირტლაძე — კაცი კოლორიტი, რომელმაც, გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ცხოვრება კაცურად და უშურველად მიუძღვნა მშობლიური ქვეყნის აღმავლობასა და ძლიერებას.

ყოველი ჩვენგანისთვის ჯიმი სხირტლაძე იყო სიყვარულის, მეგობრობისა და კეთილშობილების განსახიერება. ასეთად დარჩება იგი ჩვენს გულებში.

ვიზიარებთ მისი ტკბილი ოჯახის დიდ მწუხარებას.

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ჯიმი სხირტლაძის სულს.

მეგობრების სახელით: ალეკო კაკულია, ამირან როგავა, რესან კონცელიძე, ოთარ ჭითანავა, ნოდარ ტყეშელაშვილი, ცისანა ჩიხლაძე, ეთერ თოფურია, ნუგზარ წერეთელი, დემურ მიძაძე, ზურაბ მაჩაიძე, გრიშა შონია, გოგი ცინცაძე, დიმა ჯაიანი, ვასილ კადენეცი, დემიკო ლოლაძე, ზურაბ ლომიძე, ბიჭი დადიანი, ომარ სიამაშვილი, ზურაბ გოგოხია, გურამ თელია, გურამ გუნავა, ვახტანგ ცხადაძე, ვლადიმერ აბულაძე, ნუგზარ იზორია.

◎ სტიქია

ძლიერი თოვა და ზვავსაშიშროება

ძლიერი თოვის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროებაა, რის გამოც, ამ მიმართულებით მოძრაობა აკრძალულია. ინფორმაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

„აღნიშნულ მონაკვეთზე აკრძალულია როგორც მოძრაობა, ასევე გაწმენდითი სამუშაოების წარმოება. ზვავსაშიშროების მოხსნასთან ერთად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაიწყებს გაწმენდით სამუშაოებს, რათა უმოკლეს დროში აღდგეს ავტოტრანსპორტის მოძრაობა.ამავე გზის მლეთა-გუდაურის და კობი—ლარსის მონაკვეთებზე, თოვლისა და ლიპვინულის გამო, აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა მლეთა-გუდაურის(ფოსტა) მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო კობი-ლარსის მონაკვეთზე თავისუფალია. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მლეთა-გუდაურის(ფოსტა) და კობი-ლარსის მონაკვეთებზე თავისუფალია“,—ნათქვამია განცხადებაში.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე, გომბორის უღელტეხილსა და ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა შენარჩუნებულია, აღნიშნული მონაკვეთები მთელი ღამის განმავლობაში იწმინდებოდა.

◎ სულიერება

ტაძრად მიყვანება

ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

4 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს უდიდეს საუფლო დღესასწაულს — ყოვლადწმიდა ღუთისმშობლის და მარადის ქალწულის მარიამის ტაძრად მიყვანებას...

ყველა ჩვენგანისთვის ცნობილია, რომ, როცა პატარა მარიამი სამი წლის გახდა, მშობლებთან განშორების ჟამი დაუდგა. მარიამის მშობლებს კარგად ახსოვთ მთავარანგელოზის ნათქვამი და გადაწყვიტეს, საზეიმოდ, როგორც მესიის დედას ეკადრებოდა, ტაძრად მიეყვანათ მხოლოდშობილი ასული.

საგულისხმოა, რომ ყრმა მარიამს სადედოფლო შესამოსელი ჩაეცვეს. მოხუცი მშობლები შვილს აქეთ-იქედან ამოუდგნენ, ხელები ჩასჭიდეს და ასე გაუდგნენ გზას ნაზარეთიდან იერუსალიმისკენ. წინ ქალწულთა გუნდი მიუძღოდათ, უკან კი ნათესავთა და მეზობელთა კრებული მიჰყვებოდა ანთებული ლამპებით ხელში.

ახლა დავითის წინასწარმეტყველება — „დაივიწყებსო ასული „ერსა თვისსა“, სახლსა მამისა თვისისა“ და მიეგვრებაო უფალს საბაოთს, რამეთუ „გულმან უთქვას მეუფესა სიკეთისათვის“ მისისა.

...კრებულმა გზა ფსალმუნთა გალობით განვლო, მესამე დღეს კი შევიდნენ იერუსალიმში, მთელი ქალაქი გამოვიდა ამ დიდებული პროცესიის სანახავად.

...და, აი, შევიდა მოზეიმე კრებული ტაძრის ეზოში და შეიყვანა სულიერ ტაძარში დიდისა მეუფისა — ყრმა მარიამი. ცხადია, უფლის ანგელოზებიც შეუერთდნენ წინამძღოლ ქალწულთა გუნდს.

იოანე ნათლისმცემლის მამა — მღვდელმთავარი ზაქარია მათ შესახვედრად ტაძრიდან გამოვიდა (წმინდა ანას დისშვილის — ელისაბედის ქმარი იყო ზაქარია).

ყრმა მარიამმა როგორც კი ფეხი კიბეზე შედგა, მან დაუხმარებლად აირბინა 15 საფეხური და მუხლებზე შემოეხვია ზაქარიას. ზაქარია სულიწმიდის მადლით აივსო, ის უმალვე მიხვდა, რომ ეს ყრმა იყო ღვთის მადლის სამკვიდრებელი!

ტროპარი: დღეს განგებულებისა ღმრთისა დასაბამი არს, და საუკუნითგან საიდუმლოსა მის აღსრულებისა დაწყება, რამეთუ ტაძარსა შინა ღმრთისასა ქალწული დაემკვიდრების, და ქრისტესა ყოველთა გვახარებს, ამას ვუღაღადოთ ხმამაღლად: გიხაროდენ განგებულებისა და ღმრთისა აღსასრულო!

შეგეწიოთ დღესასწაულის მადლი!

გიული ლიპარტია

◎ SIC!

10 შოკისმოგვრელი ფაქტი ჰიტლერზე

ადოლფ ჰიტლერი ძალიან საკამათო ფიგურაა მსოფლიო ისტორიაში. გერმანიის მომავლის მისეულმა ხედვამ გამოიწვია მეორე მსოფლიო ომის დაწყება, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ის ხომ ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დიქტატორია წარსულიდან და მასზე რაღაცები ვიცით? წარმოგიდგენთ 10 ფაქტს ადოლფ ჰიტლერზე, რომელიც გაიძულებთ, სხვაგვარად შეხედოთ ამ პიროვნებას.

1. გადარჩენა

1894 წლის იანვარში პატარა ბიჭი მდინარეში ჩავარდა და იხრჩობოდა. მისი ყვირილი გამვლელმა მოზარდმა გაიგონა და გადაარჩინა. მომავალში გადამრჩენელი მღვდელი გახდა, გადარჩენილი კი დიქტატორი ჰიტლერი.

2. გასაბერი თოჯინა

1941 წელს ჰიტლერმა დანიელ ექიმ ოლინ ჰამუსენს დაავალა, შეექმნა გასაბერი თოჯინა გალვანირებული პლასტიკისგან. ეს თოჯინა უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი ყველაზე საჭირო ნივთი, რომელიც ჯარისკაცებს ყველგან უნდა ეტარებინათ. ლიდერი დარწმუნებული იყო, რომ ეს თოჯინა აარიდებდა ჯარისკაცებს სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს და დაიცავდა არიული რასის სიწმინდეს. მაგრამ ეს პროექტი ბოლომდე ვერ მიიყვანეს, რადგან ქარხანა, რომელშიც თოჯინები უნდა დაემზადებინათ, მოკავშირეებმა დაბომბეს.

3. წლის ადამიანი

1938 წელს ადოლფ ჰიტლერი ამერიკელებმა წლის ადამიანად აღიარეს, იმის გამო, რომ ის აქტიურად ავრცელებდა დემოკრატიას მსოფლიოში, ხოლო შემდეგ წელს ნობელის პრემიაზეც კი წარადგინეს, იმის გამო, რომ მან დაამყარა მშვიდობა ევროპაში. მაგრამ ჰიტლერმა ჯილდო ვერ მიიღო, რადგან დაჯილდოების დროს ისევ იფეთქა ევროპაში კონფლიქტმა და ლაურეატების დაჯილდოება გადადეს.

4. ძალის ჰორმონები

ამერიკულ სპეცსამსახურებს განზრახული ჰქონდათ ჰიტლერის საჭმელში ქალის ჰორმონების ჩაყრა, რათა ის უფრო არააგრესიული და ქალური გამხდარიყო. ამ დროს ყველას უჩნდება კითხვა — რატომ ჰორმონები და არა შხამი? რა თქმა უნდა, შხამი ძალიან ეფექტიანი იქნებოდა, მაგრამ ჰიტლერს დეგუსტატორები ჰყავდა, რომლებიც ყველაფერს სინჯავდნენ, შესაბამისად, შხამის გამოყენებას აზრი არ ჰქონდა.

5. შემბრალებელი ტირანი

მთელი ომის მანძილზე ჰიტლერი ერთხელაც არ ყოფილა საკონცენტრაციო ბანაკში, რომლებიც მისი ბრძანებით აშენდა. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ გრძნობდა, სიკვდილისთვის განწირული ამდენი ადამიანის ნახვა მის ურყევ ნებას შეარყევდა და ვერ შეძლებდა დასახული მიზნების განხორციელებას.

6. პირველი სიყვარული

ცოტამ თუ იცის, რომ ადოლფ ჰიტლერის პირველი სიყვარული იყო ებრაელი სტეფანი ისააკი, ოღონდ ჰიტლერს არასდროს ულაპარაკია მასთან. ჰიტლერის ერთ-ერთი მეგობარი ამტკიცებდა, ადოლფს განზრახული ჰქონდა ამ გოგონას მოტაცება და მასთან ერთად ხიდიდან გადახტომა. ომის შემდეგ სტეფანიმ ინტერვიუში თქვა, რომ არაფერი იცოდა ჰიტლერის გრძნობების შესახებ.

7. კოკაინით მკურნალობა

1944 წელს ადოლფ ჰიტლერის პირადმა ექიმმა თეოდორ მორელიმ ჰიტლერს კოკაინი დაუნიშნა. თავის დოზას ჰიტლერი იკეთებდა დღე-ღამეში 2-ჯერ ინჰალატორით, ასევე უმატებდა თვალების წვეთებში. კოკაინი ჰიტლერს დაუნიშნეს, როგორც ტკივილგამაყუჩებელი ცხვირისა და ყელის ტკივილის დროს. მაგრამ ამ პრეპარატს შეიძლებოდა უფრო საშინელი ეფექტი ჰქონოდა, ვიდრე მის ავადმყოფობას. რამდენიმე ისტორიკოსის აზრით, ამ პრეპარატმაც იქონია გავლენა მის აკადემიურ გადაწყვეტილებებზე.

8. გარდაცვალების დღე

უცნობია, დამთხვევაა თუ არა, მაგრამ შეტყობინება ადოლფ ჰიტლერისა და ოსამა ბინ ლადენის გარდაცვალებაზე, გაკეთდა ერთსა და იმავე დღეს — 1 მაისს.

9. მოწევასთან ბრძოლა

30-40-იან წლებში ჰიტლერი აქტიურად ებრძოდა თამბაქოს მოწევას. ჰიტლერს ეს ჩვევა ეზიზღებოდა. ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ მეცნიერები ამტკიცებდნენ, მოწევა იწვევდა ბევრ ონკოლოგიურ დაავადებას.

10. პრობლემები პირად ცხოვრებაში

1916 წელს სომთან ბრძოლის დროს, ჰიტლერი მუცელში დაიჭრა და ერთი სათესლე ჯირკვალი დაკარგა. სქესობრივმა პრობლემებმა დიქტატორს მთელი ცხოვრება დაუნგრია, თვითონ ჰიტლერმა კი მთელი ევროპა დაანგრია.

einteres.ge

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ტიპი ძაღლს ასეირნებს. მასთან მეორე ტიპი მიდის და ეკითხება:

— თქვენს ძაღლს გენეალოგიური ხე აქვს?

— რაში სჭირდება? მას ნებისმიერ ხესთან შეუძლია მოშარდვა.

* * *

— **მიხო**, აბა დამისახელე ხუთი შინაური ცხოველი, — ეუბნება ბიოლოგიის მასწავლებელი.

— ორი კატა და სამი ძაღლი!

* * *

— **საწამლავი** მიეცით, რათა არ იწვალოს.

— ექიმო, ეს სახელმწიფო კი არა, კერძო კლინიკაა. აქ ასე არ შეიძლება.

* * *

ძმარი შედის საძინებელში ორი ტაბლეტითა და ჭიქა წყლით და მათ ცოლს აწვდის.

— რად მინდა ეს წამალი? მე ხომ თავი არ მტკივა? — ეუბნება ცოლი.

— აჰა, ხომ გამოგიჭირე! ახლა რას მოიმიზეზებ? — გახარებულია ქმარი.

* * *

— **ჩვენ** ვინა ვართ, რომ წინ აღვუდგეთ ბუნების ძალებს?

— ბატონო მერო, მოდით, ჩვენი ქალაქის ქუჩებიდან თოვლის გატანით მაინც დავიწყოთ?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარვჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე